პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი სამშაბათი 6 მაისი № 104 (17747) ფასი 2 კაპ.

საქმეთ გამოაჩინა



მიზანი — მეცხოველეობის აღმავლობა

ბოლო ხანს წითელწყაროს რაიონში [illegible] ცხოველეობის შემდგომი განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლებისათვის. ამის შედეგად გაიზარდა ხორცის, რძის, მატყლის, კვერცხისა და სხვა პროდუქტების წარმოება. მაგრამ დარგის ეფექტიანობის დონე ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, მცირეა პირუტყვის პროდუქტიულობა, დიდია პროდუქციის თვითღირებულება. მაგალითად, თითოეული ფურის საშუალო წველადობა 2.000-2.200 კილოგრამს არ აღემატება. ეს, უწინარეს ყოვლისა, გამოწვეულია საზოგადოებრივი მეცხოველეობის საწარმოო ბაზის, კერძოდ, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დაბალი დონით. მაგალითად, 108 ბოსლიდან არატიპობრივი და მოუწყობელია 49, პირუტყვის დარწყულების მექანიზაციის დონე არ აღემატება 18 პროცენტს, საკვების დარიგებისა — 28 პროცენტს, ნაკელის გატანისა — 47 პროცენტს და ა. შ. ყოველივე ეს. კი მუშახელის ღენადობას იწვევს.

ამ მხრივ „საქსახსოფლტექნიკის“ წითელწყაროს რაიონული გაერთიანება სუსტად ეხმარება კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, განსაკუთრებით მოუწესრიგებელია ფერმების შიდა ელექტროგაყვანილობა.

სწორედ ამ პრობლემების გადაწყვეტის ღონისძიებებზე იმსჯელა ამ დღეებში პარტიის წითელწყაროს რაიკომის ბიუროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და „საქსახსოფლტექნიკის“ კოლეგიათა გაერთიანებულმა სხდომამ.

სხდომამ დაამტკიცა წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმების შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის, ფერმების და საკვების საამქროების მშენებლობის გეგმები.

კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, „საქსახსოფლტექნიკის“ სამმართველოებსა და უწყებებს, მათ ხელმძღვანელებს დაეკისრათ გეგმით გათვალისწინებული სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები დროულად უზრუნველყონ სათანადო პროექტებით, ხელშეკრულებებით, სამშენებლო მასალებით, საჭირო დანადგარმოწყობილობით და სპეციალისტთა კადრებით.

ვლ. მჯედლიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

კონტროლი — მასობრივი, ქმედითი

ჩვენი ქვეყნის ძირითადმა კანონმა — კონსტიტუციამ განამტკიცა სახალხო კონტროლის ორგანოების არსი სოციალიზმის მშენებლობაში, ხოლო მის საფუძველზე მიღებულმა კანონმა სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ განსაზღვრა მისი შექმნის წესი, საქმიანობის ორგანიზაცია და ფუნქციები.

სოციალისტურ საზოგადოებაში სახალხო კონტროლის ორგანოების როლისა და ავტორიტეტის ზრდის ჭეშმარიტი დადასტურებაა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ნათქვამი სიტყვები: „**შესრულების შემოწმებისათვის მუშაობაში დიდი ადგილი უკავია სახალხო კონტროლის ორგანოებს. პარტიულმა ორგანიზაციებმა უკეთ უნდა გამოიყენონ მათი შესაძლებლობანი, ყოველნაირად შეუწყონ ხელი მათთვის დაკისრებული ფუნქციების განხორციელებაში**“.

სახალხო კონტროლზე პარტიის ზრუნვის ახალი ნათელი გამოხატულებაა აგრეთვე სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ კანონის მიღებასთან დაკავშირებით სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მათდამი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი დადგენილებები.

ამ ისტორიული დოკუმენტების მიღების შემდეგ ამჟამად პირველად ეწყობა სახალხო კონტროლის ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები, რომლებიც სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებების შესასრულებლად გაშლილი საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების პირობებში მიმდინარეობს.

საარჩევნო-საანგარიშო კრებები ცხადყოფს, რომ მშრომელები დიდი ინტერესით და პრინციპულად განიხილავენ სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობის შედეგებს, სახალხო კონტროლორებად ირჩევენ მშრომელთა კოლექტივების საუკეთესო წარმომადგენლებს, აძლევენ მათ დავალებებს, რათა კონტროლი უფრო კონკრეტული, მახვილი და ქმედითი იყოს. ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის მომზადებასა და მოწყობას ხელმძღვანელობენ ადგილობრივი პარტიული კომიტეტები და პარტიული ორგანიზაციები.

ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს.

სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ კანონის მიღებასთან დაკავშირებით სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მათდამი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი დადგენილებები.

ახალციხის რაიონის აგარის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომუნისტური პარტიის ახალციხის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. ქაჯაიამ, ლენტეხის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის კრებას დაესწრო პარტიის ლენტეხის რაიკომის მდივანი გ. გუნავა, ჩოლურის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ჯგუფის კრებას — ლენტეხის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დ. ტვილდიანი.

საქმიანად, მწვავე კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით გაიმართა გალის რაიონის ოტობაიის სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის კრება, რომელსაც საქართველოს კომპარტიის გალის რაიკომის პირველი მდივანი ო. ზუბბაია ესწრებოდა. საანგარიშო მოხსენებაში მკაფიოდ აისახა იმ დახმარების შედეგები, რომელსაც მეურნეობის სახალხო კონტროლიორები უწევენ პარტიულ ორგანიზაციას და დირექციას შრომის ორგანიზაციის, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების და სახელმწიფო დავალებათა შესრულების, მატერიალური და შრომითი რესურსების სწორად გამოყენების საქმეში. მკაცრად, მაგრამ სამართლიანად გააკრიტიკეს ის ჯგუფები და კონტროლიორები, რომლებიც პასიურობენ და ვერ ამართლებენ მათდამი გამოცხადებულ ნდობას. კრებაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სახალხო კონტროლის ჯგუფის მიერ მოწყობილმა ყველა შემოწმებამ და რეიდმა ვერ მიაღწია მიზანს იმის გამო, რომ ზოგიერთი კონტროლიორი ნაკლებად მონაწილეობს შემოწმებებში და არ იჩენს სათანადო აქტიურობას. ითქვა, რომ მუშაობის უზრუნველსაყოფად საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციამ, მეურნეობის კომუნისტებმა ხშირად მოისმენონ ჯგუფის საქმიანობის შედეგები, მხარი დაუჭირონ მათს დასაბუთებულ წინადადებებსა და დასკვნებს. ამით კიდევ უფრო ამაღლდება მათი ბრძოლისუნარიანობა.

სახალხო კონტროლის ჯგუფები, რომლებიც სახალხო კონტროლის ორგანოების საფუძველია, პარტიის გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლის წინა ხაზზე მოქმედებენ, ამიტომ მათდამი მუდმივი მხარდაჭერა კარგი სტიმულია მომავალ საქმიანობაში.

რესპუბლიკაში უკვე გაიმართა 16392 კრება, მათ შორის 7867 ჯგუფსა და 8 ათასზე მეტ საგუშაგოში, რომლებშიც არჩეულია 103 ათასი კონტროლიორი.

აღსანიშნავია, რომ ზოგან ანგარიშგება-არჩევნების მსვლელობაში გამოვლინდა ცალკეული ნაკლოვანებები. ცაგერის, ყაზბეგის, ქედის რაიონების, ქალაქ სოხუმის მშრომელთა კოლექტივების კრებები დაიწყო დაგვიანებით. ზოგან სახალხო კონტროლის ჯგუფების საანგარიშო მოხსენების განხილვაში მონაწილეობენ მხოლოდ სახალხო კონტროლიორები, იშვიათია მუშებისა და კოლმეურნეების გამოსვლები, რომლებშიც შეფასებული იქნებოდა კონტროლიორთა მუშაობის შედეგები.

საჭიროა მხარი დავუჭიროთ სახალხო კონტროლიორებს საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და კონფერენციებზე მშრომელთა მიერ მიცემული განაწესების განხორციელების საქმეში.

ამოცანა ის არის, რომ ჯგუფებისა და საგუშაგოების ახალ შემადგენლობაში ავირჩიოთ მოწინავე, პრინციპული, ბრძოლისუნარიანი მუშები, კოლმეურნეები, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

პარტიულმა, საბჭოთა ორგანოებმა პრაქტიკული დახმარება უნდა გაუწიონ მათ სამუშაო გეგმების შედგენაში, ღრმად მოფიქრებული დავალებების განაწილებასა და შემოწმებათა მომზადებაში.

სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების შესრულება თითოეული სახალხო კონტროლიორის ღირსების საქმეა. პარტიულ ორგანიზაციებს, საწარმოთა ხელმძღვანელობას მხარში უნდა ედგნენ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებისა და ორგანიზაციების სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები.

სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების მომდინარე ანგარიშგება-არჩევნებმა ზეგავლენა უნდა მოახდინოს მათი მომავალი საქმიანობის გაუმჯობესებაზე, მასების გააქტიურებაზე, ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის მათი ძალების დარაზმვაზე.



დამკვრელურ წელს — დამკვრელური შრომა!

მინდვრებსა და კლანტაციებში

მეჩაიეთა ახალი მიჯნები

ჩაის ფოთლის კრეფის დაწყების წინ პლანტაციების დამუშავების უკანასკნელი ეტაპი დაამთავრეს მახარაძის რაიონის მეურნეობებმა. ყველა ოპერაცია შესრულდა საუკეთესო აგროვადებში და მაღალ დონეზე. მიწათმოქმედთა წარმატება შრომის მოწინავე მეთოდების, მანქანებისა და მექანიზმების გამოყენების შედეგია.

წლევანდელი სეზონის თავისებურებაა მექანიზაციის ფართოდ დანერგვა ჩაის ფოთლის მოყვანაში. მეურნეობებმა მიიღეს ხელის ჩაის საკრეფი და ჩაის სასხლავი აპარატების დიდი პარტიები. მოძველებული მოდელების ჩაის საკრეფი მანქანები შეცვალა „საქართველოს“ გაუმჯობესებულმა ნიმუშებმა.

მეჩაიეობის მექანიზაციამ ჩაის მოყვანის პროგრესულ ხერხებთან, პერსპექტიული ჯიშების, მაგალითად, „კოლხეთის“ დანერგვასთან ერთად მეჩაიეებს საშუალება მისცა მაღალი ვალდებულება იკისრონ — წელს ქვეყანას მისცენ 470 ათასი ტონა ხარისხოვანი ფოთოლი. მაგრამ მათი განხრახვაა უფრო მაღალ მიჯნებს მიაღწიონ.

მევენახეთა გაზაფხული

ვენახებში საგაზაფხულო აგროტექნიკურ სამუშაოთა მთელი კომპლექსი სხვებზე ადრე შეასრულა ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატმა ლ. ჯავახიშვილმა — სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობის წევრმა. მან პირობა დადო წელსაც შეინარჩუნოს მარშანდელი წარმატება, 3,6 ჰექტარ ფართობზე მოკრიფოს 85 ტონა ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 32 ტონისა.

საქართველოს ვენახებში დიდი მუშაობაა გაჩაღებული. სავაზაფხულო სამუშაოებს წარმატებით ასრულებენ გურჯაანის, სიღნაღის, თელავის, მცხეთის რაიონების მშრომელები. სასწრაფოდ არემონტებენ მანქანებს, ნიადაგში შეაქვთ მინერალური სასუქები. თელაველ მევენახეთა მაგალითისამებრ, რომლებმაც შარშან მოსავლის მოწევისას მარცვის ავტომატური სისტემა გამოიყენეს, კახეთის ბევრმა მეურნეობამ გადაწყვიტა მომავალი რთველისათვის თავის მეურნეობაში დანერგოს ეს მოწინავე მეთოდი. (საქინფორმი).

სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებებს აღწევს № 14 სამშენებლო ტრესტის ბრიგადა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვალერიან ჭელიძე ხელმძღვანელობს. ბრიგადამ უკვე უპატაჟა სამშობლოს ხუთწლიანი დავალების ვადამდე შესრულება, ამ კოლექტივის მიერ აშენებულ ყველა საცხოვრებელ სახლს კომისიამ „კარგი“ და „ფრიადი“ შეფასება მისცა.

ბრიგადა ცნობილი მოსკოველი მშენებლის ნ. ზლობინის მეთოდით მუშაობს პრინციპით — სწრაფად და ხარისხიანად.

სურათებზე: მშენებელთა კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი ვ. ჭელიძე; ბრიგადის წევრები — მებათქაშეები ოთარ ავალიანი, რევაზ ხინჩაგაშვილი და თემურ კილაძე.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გავზარდოთ მინერალური რესურსები

გეოლოგის, ერთი შეხედვით, რომანტიკული პროფესია მეტად დიდ და მძიმე შრომას მოითხოვს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ჩვენი სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს მინერალური ნედლეულის ბაზის გაფართოებას. ის, რომ ჩვენი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა საკუთარი ნედლეულის ბაზას ეყრდნობა, ამაში გეოლოგებს დიდი დამსახურება მიუძღვით.

სერიოზული ამოცანები გადაწყვიტეს საბჭოთა გეოლოგებმა სამამულო ომის წინა პერიოდში და ომის მსვლელობის წლებში. დიდი სამამულო ომის შემდეგ კი საჭირო გახდა, შავი მეტალურგიის პარალელურად, ფერადი ლითონების წარმოების და ნავთობისა და გაზის მრეწველობის სწრაფი განვითარება. საბჭოთა კავშირის გეოლოგიურ სამსახურს ევალება მოქმედი და მშენებარე საწარმოების მინერალური ნედლეულის ბაზის გაფართოება, ამასთან ერთად, მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის სასარგებლო წიაღისეულის მარაგების რიგერვის შექმნა.

გეოლოგების დაფიქალავი შრომის შედეგად ყოველწლიურად ვლინდება შავი და ფერადი ლითონების, ქვანახშირის, ნავთობის, ბუნებრივი გაზის, სამთო-ქიმიური ნედლეულის, საშენი მასალების მრავალრიცხოვანი საბადოები. მათ საფუძველზე იქმნება მძლავრი მეტალურგიული ქარხნები, ქვანახშირისა და ნავთობის ახალი ბაზები. საბჭოთა სახელმწიფომ მინერალური რესურსების მარაგის მიხედვით, ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა მსოფლიოში.

როდესაც გეოლოგების წარმატებებზე ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი შეუძლებელი იქნებოდა კვლევა-ძიების საქმეში მეცნიერების მოწინავე მეთოდების დანერგვასა და თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის გარეშე. თუ არც ისე დიდი ხნის წინათ გეოლოგების მთავარი იარაღი ჩაქუჩი და სამთო ყიბლანი იყო, ხოლო სატრანსპორტო საშუალება — ცხენი და ურემი, დღეს საბჭოთა კავშირის გეოლოგიური ორგანიზაციების განკარგულებაში 400 ათასზე მეტი თანამედროვე მექანიზმი და დანადგარი ირიცხება, მათ შორის არის ათი ათასამდე სპეციალური დაზგა, ავტომობილი, ტრაქტორი, ბულდოზერი, მსუბუქი გეოფიზიკური აპარატურა და სხვა. გეოლოგიურ აგებგმას და ძებნა-დაზვერვას ათასზე მეტი თვითმფრინავი და ვერტმფრინავი ემსახურება.

გეოლოგიური სამსახურისათვის პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის შედეგად მომზადებულია მუშათა და სპეციალისტთა მრავალრიცხოვანი მაღალკვალიფიციური კადრები. დღეისათვის უმაღლესი და საშუალო ტექნიკური კვალიფიკაციის გეოლოგიური და ტოპო-გეოდეზიური პროფილის კადრების მომზადების საქმეს საბჭოთა კავშირის ასზე მეტი უმაღლესი სასწავლებელი და ტექნიკუმი ემსახურება.

ყოველივე ეს საშუალებას იძლევა წარმატებით განვახორციელოთ პარტიის XXV ყრილობაზე მიღებული პროგრამა, რომელიც ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა კოლოსალურ განვითარებას, სამრეწველო პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვან ზრდას ითვალისწინებს. ამ დიდი ამოცანების გადაწყვეტაში ჩვენი რესპუბლიკის გეოლოგებსაც შეაქვთ თავიანთი წვლილი, პირველყოფილა გვინდა აღვნიშნოთ, რომ 1980 წელი საიუბილეოა საქართველოს გეოლოგიის სამმართველოსთვის. შესრულდა 50 წელი სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს ერთ-ერთი უძველესი ორგანიზაციის — საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს ფორმირებიდან.

ამ ხნის მანძილზე ჩვენი ორგანიზაცია საგრძნობლად გაიზარდა, განმტკიცდა და ტექნიკურად გაძლიერდა. დღეს რესპუბლიკის გეოლოგიის სამმართველოს სიტემაში მუშაობს ტერიტორიულ და დარგობრივ პრინციპებზე შექმნილი რვა კომპლექსური გეოლოგიური ექსპედიცია, რომლებშიც შედიან გეოლოგიური პარტიები და ჯგუფები.

სამმართველოს კოლექტივში ასამდე რესპუბლიკის დამსახურებული გეოლოგი, ინჟინერი და რაციონალიზატორია. 140 კაცი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებით და მედლებით. მათ შორის ერთი სოციალისტური შრომის გმირია, ხოლო ორი — ლენინის ორდენოსანი. გეოლოგთა შორის არიან სახელმწიფო პრემიის ლაურეატები და სამეცნიერო ხარისხის მქონე სპეციალისტები. გეოლოგიის სამმართველოსთან შეიქმნა სასწავლო კომბინატი, რომელიც კავკასიის გეოლოგიურ ორგანიზაციებს მაღალკვალიფიციური მუშათა კადრებით უზრუნველყოფს.

ქართველი გეოლოგები კარგი საწარმოო მაჩვენებლებთან ხვდებიან თავიანთ დღესასწაულს. მათ წარმატებით შეასრულეს მიმდინარე ხუთწლეულის 4 წლის გეგმა. ეს, ერთი მხრივ, გეოლოგების თავდადებული შრომის, ხოლო, მეორე მხრივ, იმ დიდი ყურადღების შედეგია, რომელსაც ყოველთვის იჩენდნენ და იჩენენ ჩვენდამი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა. გეოლოგთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ, რომელიც მიმდინარე წლის იანვარში გაიმართა, განსაზღვრა ჩვენი სამსახურის ძირითადი ამოცანები და მომართულებები, ერთ-ერთ მთავარ ამოცანად გეოლოგებს რესპუბლიკის მოქმედი სამთო-მომპოვებელი საწარმოების ნედლეული ბაზების შემდგომი განვითარება ესახებათ. ამ თვალსაზრისით გაძლიერდება სამუშაოები ჭიათურის მანგანუმის, მადნეულის ბარიტ-პოლიმეტალურ, კვაისის ტყვია-თუთიის, ტყიბულ-შაორისა და ტყვარჩელის ქვანახშირის, ჩორდისა და მექვენის ბარიტების და სხვა მომქმედ საბადოებზე. გაგრძელდება ძებნითი სამუშაოები. ეძებენ მანგანუმს — ყვარილის დეპრესიაში, სპილენძს — აფხაზეთში, ბოლნისის რაიონში, ალაზანგაღმა კახეთში, ვოლფრამს — ზემო რაჭაში და სვანეთში, ბარიტს — ქუთაისის რაიონში, ოკრიბაში, სამეგრელოსა და აფხაზეთში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ საჭიროა ჩვენი ქვეყნის თბოენერგეტიკული კომპლექსის სიმძლავრეების შემდგომი განვითარება. ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის გეოლოგებმა მნიშვნელოვნად აძლიერებენ მუშაობას ქვანახშირის საბადოების, თერმული წყლების რესურსების და ნავთობ-გაზშემცველი პოტენციური სტრუქტურების გამოსავლენად.

ქართველი გეოლოგების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა აგრეთვე რესპუბლიკის ყველა სახეობის საშენი მასალებით და არამადნეული წიაღისეულის დამტკიცებული მარაგით უზრუნველყოფა.

აღსანიშნავია ისიც, რომ თერმული წყლები თანდათან უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს რესპუბლიკის თბო-ენერგეტიკულ ბალანსში.

გეოლოგიური სამსახურის განვითარების თანამედროვე დონე მოითხოვს გეოლოგიის მეცნიერების და პრაქტიკის კავშირის შემდგომ გაფართოებას და განმტკიცებას. სამმართველოს გეოლოგები, რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთად, მომავალში კიდევ უფრო გაალიერებენ გეოლოგიურ კვლევა-ძიებას ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მინერალური რესურსებით სრული უზრუნველყოფისათვის, ღირსეულად შეხვდებიან სკკპ XXVI ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

ი. გოგიტიძე,
საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს უფროსი.

სიახლე გზას მიიკვლევს

ჩაის მზა პროდუქციის მისაღებად ნედლეულმა მრავალი ტექნოლოგიური პროცესი უნდა გაიაროს, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია გრეხა. ამის შედეგად ძირითადად ყალიბდება ჩაის მზა პროდუქციის ხარისხოვანი მაჩვენებლები. ამდენად, მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიღება არსებითად გრეხის პროცესის ოპტიმალურ პირობებში მოწყობაზე არის დამოკიდებული.

ამ საკითხის გადაწყვეტას ისახავს მიზნად ა. ბინიაშვილის, რ. თეგზაძის, ე. იასამანოვის, გ. იასამნიძის, ა. მესხის, ლ. ხარატიშვილის მიერ შემოთავაზებული. მომღნარი ჩაის ფოთლის ტრანსპორტირების, დოზირების და აწონის ავტომატიზებული სისტემა, რომელიც ხელსაწყოთა მშენებლობის და მართვის სისტემის საკავშირო სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ და გორის ავტომატიზაციის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად წარადგინეს.

ეს სიახლე უკვე ფართოდ დაინერგა ჩაის მრეწველობაში. იგი საშუალებას იძლევა გრეხის პროცესი წარიმართოს ოპტიმალურ პირობებში სპეციალურად დამუშავებული ალგორითმის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს მომღნარი ჩაის ფოთლის საჭირო დოზების სიდიდის შერჩევას, მთის გამოყოფას უწყვეტი ნაკადიდან, ამ დოზების საგრეხ მანქანებში განაწილების თანამიმდევრობის შერჩევას და მათ განაწილებას საგრეხ მანქანებში გადასამუშავებელი ნედლეულის რაოდენობისა და მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების გათვალისწინებით.

ამ ღონისძიებამ საქართველოს სსრ ჩაის ფაბრიკაში მნიშვნელოვნად გაზარდა მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება და ჩაის ფაბრიკის მწარმოებლობა.

ამჟამად ჩაის ფაბრიკებში დანერგილია 14 სისტემა, აქედან 13 სისტემა — ჩვენს რესპუბლიკაში, რის შედეგადაც მიღებულმა ეკონომიკურმა ეფექტმა 2 მილიონ მანეთს გადააჭარბა. უახლოეს წლებში გათვალისწინებულია ამ სისტემის მასობრივი დანერგვა სამამულო ჩაის მრეწველობაში და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ჩაის ფაბრიკებში, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის დახმარებით შენდება.

აღნიშნულ ავტომატიზებულ სისტემას, რომელსაც მაღალი შეფასება მისცეს როგორც სახელმწიფო კომისიამ, ისე საქართველოს კავშირის მრეწველობის სამინისტრომ, ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ, ჩაის მრეწველობა მუშაკებმა და სხვა კომპეტენტურმა ორგანიზაციებმა, გამოიყენებენ აგრეთვე ახლად აგებული ჩაის სახარისხებელ ფაბრიკებში ჩაის ნარევის შედგენის (კუპაჟის) პროცესის ავტომატიზაციისათვის.

ახალი სისტემის მაღალი ეფექტიანობა, დამუშავების მაღალი მეცნიერულ-ტექნიკური დონე მეტყველებს ამ სისტემის დიდ მნიშვნელობაზე ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის, რის გამოც აღნიშნული სამუშაო და ავტორთა კოლექტივი იმსახურებენ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიას მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

გ. ჯომარჯიძე,
საქკვებმრეწვხახპროექტის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს
იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმს
იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელ ვეჩეს

ძვირფასო ამხანაგებო,

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდ სამძიმარს გიცხადებენ თქვენ, იუგოსლავ კომუნისტებს, იუგოსლავიის ყველა მშრომელს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარის იოსიპ ბროზ ტიტოს გარდაცვალების გამო.

იოსიპ ბროზ ტიტოს გარდაცვალება დიდი დანაკლისია იუგოსლავიის ხალხებისათვის, რომელთა ნაცადი პოლიტიკური ხელმძღვანელი იყო იგი მრავალი წლის განმავლობაში. იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის რიგების განმტკიცებისათვის, ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, სოციალისტური რევოლუციის გასამარჯვებლად იუგოსლავ მშრომელთა გმირული ბრძოლის ხელმძღვანელობისათვის, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მშენებლობის ორგანიზაციისათვის, მის ხალხთა ძმობისა და ერთიანობის გაძლიერებისათვის თავისი აქტიური მოღვაწეობით იოსიპ ბროზ ტიტომ დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა მოიპოვა.

მსოფლიო საზოგადოებრიობა იოსიპ ბროზ ტიტოს იცნობს როგორც მშვიდობის, დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის სამის დამცველს, როგორც მიუმხრობლობის მოძრაობის ერთ-ერთ დამაარსებელს. ხელმძღვანელობდა რა იუგოსლავ კომუნისტებს ორმოც წელზე მეტ ხანს, იგი აქტიურად იბრძოდა საერთაშორისო კომენისტური და მუშათა მოძრაობის რიგებში რეაქციის ძალების წინააღმდეგ, ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფისა და სოციალური პროგრესისათვის.

იოსიპ ბროზ ტიტო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებას. მისმა რეგულარულმა შეხვედრებმა საბჭოთა ხელმძღვანელებთან ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეგობრობის გაღრმავებას. ამ გლოვის დღეებში სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კვლავ ადასტურებენ, რომ საბჭოთა კავშირი განუხრელად ისწრაფვის განმტკიცოს მეგობრული ურთიერთობა იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკასთან, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირთან უმაღლეს დონეზე ერთად შეთანხმებული პრინციპებისა და მორიგებების განუხრელი დაცვის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, თანასწორუფლებიანობის, სუვერენული უფლებების მტკიცე პატივისცემის საფუძველზე, ურთიერთგაგებისა და ნდობის სულისკვეთებით.

საბჭოთა კავშირში მუდამ ხელმძღვანელობდნენ და ხელმძღვანელობენ იმით, რომ ღრმა ისტორიული ტრადიციებით, საბრძოლო ძმობის ხსოვნით, კომუნიზმის იდეალებისათვის ბრძოლაში ინტერნაციონალისტური სოლიდარობით შედუღაბებული საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეგობრობა შეესაბამება სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ხალხთა ძირეულ ინტერესებს და ჩვენი საერთო კუთვნილებაა.

საბჭოთა ადამიანები იზიარებენ იუგოსლავ მშრომელთა მწუხარებას იოსიპ ბროზ ტიტოს — იუგოსლავიის გამოჩენილი სახელმწიფო და პარტიული ხელმძღვანელის — საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის, მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლის გარდაცვალების გამო. იოსიპ ბროზ ტიტოს სახელი სამუდამოდ დარჩება ისტორიაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი	სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდი მწუხარებით აუწყებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტებსა და ყველა მშრომელს, რომ 1980 წლის 4 მაისს ძმიმე ავადმყოფობის შემდეგ 87 წლისა გარდაიცვალა იუგოსლავიის ხალხთა გამოჩენილი ხელმძღვანელი, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე იოსიპ ბროზ ტიტო.

შრომის ხალხი

სამტრედიის რაიონის სოფელ დაფნარს რომ გასცდებით, გომის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის საკარგულები იწყება. რა არ ხარობს მის მაღლიან მიწაზე: სიმინდი, ვაზი, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები. აქაურმა მებოსტნეებმა შარშან უხვი მოსავალი მოიწიეს, არა მარტო გეგმა, არამედ ნაკისრი ვალდებულებებიც პირნათლად შეასრულეს და რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურეს...

როგორ მოიპოვეს ეს საპატიო ჯილდო? — მუყაითი, ბეჯითი შრომით. ბოსტნეულ კულტურებს აქ ხუთასი ჰექტარი უკავია. 140 ჰექტარზე თესავენ კომბოსტოს, 25 ჰექტარზე — კიტრს, 185 ჰექტარზე — პამიდორს, საგულდაგულოდ ფარიან და სარეკორდო მოსავლიც მოჰყავთ. შარშან გეგმით გათვალისწინებული 5 ათასი ტონის ნაცვლად სახელმწიფოს 6.675 ტონა ბოსტნეული მიჰყიდეს.

გარჯა დაუფასდათ მეურნეობის მშრომელებს. ახლახან ხალხმრავალ კრებაზე რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშა მეურნეობის დირექტორს პანტელეიმონ ნადირაძეს გადასცა პარტიის სამტრედიის რაიკომის პირველმა მდივანმა თამაზ იმედაძემ. მან გომელ მშრომელებს მარჯვენა შეუქრა და ახალი წარმატებები ესურვა მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს, მოწინავეთა შორის დაასახელა ბრიგადები, რომელთაც მურმან ნადირაძე, ჭოლა ჯინჭარაძე და მაქსიმე მეგენიშვილი ხელმძღვანელობენ, ყურადღება გამახვილდა მეურნეობაში ფარფოდ გაშლილი შეჯიბრების ულდადეს მნიშვნელობაზე, შეჯიბრების საჯაროობისა და შესადარობის დიდ ძალაზე, იმედი გამოთქვეს, რომ მეურნეობის ერთსულოვანი კოლექტივი წელსაც ხუთწლედის ახალ მიჯნებს დალაშქრავს და ახალი შრომითი ნობათით შეხვდება სკკპ XXVI ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის შრომითი წარმატების თვიდადათვი სოციალისტური შეჯიბრებაა. ბრიგადა ბრიგადას ეჯიბრება, უბანი — უბანს, მებოსტნეს, რაც დიდად უწყობს ხელს შრომაში მაღალი მაჩვენებლების მოპოვებას. შარშან ბრიგადებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა მურმან ნადირაძის ბრიგადამ. შრომითი დიდების მედროშენი არიან, და ისიც ამაყობს მიღწევებით, განსაკუთრებით კი — ბრიგადის წევრებით. ბოსტნეულის უხვი მოსავლის მიღების ოსტატებად იცნობენ რუიზან თავაძეს, გიგული ნიკოლეიშვილს, გიორგი ბერიკაშვილს, მერი ქიმუცაძეს და სხვებს.

როგორია რუიზან თავაძის შრომითი ბიოგრაფია? დიდის კვალს გაჰყვა რუიზანი; წლების მანძილზე მოწინავე კოლმეურნეს იყო ლიდა ნიკოლეიშვილი, უფლიდა ვენახს, სამინდის ყანას, ბოსტნეულ კულტურებს. შრომაში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის იგი „საპატიო ნიშნის“ ორდენით და საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ოქროს მედლით არის დაჯილდოებული.

რუიზანი საშუალო სკოლაში კარგად სწავლობდა, კლასიდან კლასში ქების სიგელით გადადიოდა და ყველას ეგონა, უმაღლესში განაგრძობდა სწავლას. მაგრამ გადაწყვიტა სოფელში დარჩენილიყო და დედას დახმარებოდა. ლიდამ გადაწყვეტილება მოუწონა. ქალიშვილმა მეურნეობაში მუშაობა რომ დაიწყო, ისე ბეჯითად მოეკიდა საქმეს, რომ გაოცებასა და სიხარულს ვერ მალავდნენ მეზობლები და კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ...

— გიყურებ და მიხარია, — ეუბნებოდა ორდენოსანი მეგობრეშუმე სონია სანიკიძე. — თუ ასე იმარჯვე, ჩემო რუიზან, ბევრ მოწინავეს გაუსწრებ და სახელოვანი ქალი გახდები.

— ჩემი მიზანიც ეგ არის, — მიუგებდა ხოლმე რუიზანი, — შრომა სიხარულს მანიჭებს, ვიცი, დიდი მიზანი დიდ ენერგიასაც ბადებს, დედაც სულ იმას მეუბნება: ქება-დიდებამ თავბრე არ დაგახვიოს, გულით იშრომე და სახელიც მოვაო.

გავიდა დრო, წლები სიკეთის კვალს ტოვებდა რუიზან თავაძის ცხოვრებაში. ამ რამდენიმე წლის წინათ ოქტომბრის რევოლუციის ორდენით რომ დაჯილდოვეს, ყველამ გულთბილად მიულოცა, დედას კი სახეზე რატომღაც მოწყენა დაეტყო...

— დედა, რა მოგვივდა, ცუდად ხომ არა ხარ?!

— რა გითხრა, აბა, ნეტავ მამაშენი მოსწრებოდა შენს ასეთ მიღწევებს, ისიც გაიხარებდა, შენი ქება უხერხულია ჩემთვის, მაგრამ არა ვთქვა, არ შეიძლება, ნამდვილად მასაჩელე, შვილო, სამი ვაჟის დედა ხარ და ღირსეული მეუღლე, მომავალი წინა გაქვს.

ლიდამ თავი ასწია და ოთახის ერთ წერტილს მიაპყრო თვალი, კედლიდან სამშობლოს გმირი დამცველი ნიკოლოზ ნიკოლეიშვილი იცქერებოდა გადიდებული სურათიდან.

— რუიზან, შვილო, მოდი მამაშენის მიერ ფრონტის წინა ხაზიდან მოწერილი სამკითხა ბარათები გადავიკითხოთ, მის სიტყვებს რომ ვისმენ, ასე მგონია ვესაუბრები...

ლიდა მოტრიალდა, მაგიდის უჯრა გამოსწია და წერილების დასტა ამოიღო. დროებამისაგან გაყვითლებული ბარათები ახალი სიცოცხლით სუნთქავდა...

ლიდამ სათვალე გაიკეთა, დედა-შვილი დივანზე ჩამოსხდნენ და კითხვას შეუდგნენ. მოხალისედ ფრონტზე წასული ნიკოლოზი მეუღლეს სწერდა: „მტერი წინ მოიწევს, წვავს საცხოვრებელ სახლებსა და შენობებს. იწვის მიწა და კვნესის, ჩვენ მედგარ წინააღმდეგობას ვუწევთ, ბევრი ფრიცი გამოვასალმე წუთისოფელს, ჩემი ავტომატი მიზანში კარგად ისვრის, სამარიდ ექცევათ მათ ჩვენი მამული, მტერს შევაკვდებით, მაგრამ არ დავთმობთ ოქტომბრის მონაპოვარს, დიდი რუსეთის მიწა-წყალს რომ ვიცავ, ამით ჩემს მშობლიურ საქართველოსაც დარაჯად ვუდგავარ“...

სხვა წერილი უფრო იმედიანია: „მტერი უკან იხევს, ადგილად არ თმობს საბრძოლო პოზიციას, მაგრამ საბჭოთა მიწა-წყალს მთლიანად გავათავისუფლებთ, ჩვენს ქუჩებშიც იქნება გამარჯვების ღღესასწაული...“

ბედმა უმოუხთლა ნიკოლოზ ნიკოლეიშვილს, სად დაუღამდა სიცოცხლე ამ სწორუპოვარ ვაჟიაცს და ასაჩქადულო მამულიშვილს, დღემდე არ იციან ოჯახის წევრებმა. სოფლის შესასვლელთან აღმართულ შინმოუსვლელთა სკვერში მარმარილოს დაფაზე კი ოქროს ასოებით ამოკვეთილია ნიკოლოზ ნიკოლეიშვილის გვარი და სახელი.

ყოველ დილით რუიზანი და მისი მეგობრები ამ სკვერს რომ ჩაუვლიან, ქალიშვილი წამით შეჩერდება და მამის სურათისაკენ გაიქცევა ხოლმე მზერა, თვალის უპეებთან მომდგარ კურცხალს მოიწმენდს და ნაბიჯს აუჩქარებს. საბოსტნე ნაკვეთში მეზობლები ელიან, მალე ბრიგადირი მურმან ნადირაძეც მოვა, და შრომაც გაჩაღდება.

მართალია, მებოსტნეობაში შარშან მოპოვებული მიღწევები დიდია, მაგრამ მიღწეული ზღვარი როდია, უფრო მეტი მოსავლის მიღება შეიძლება იმავე ფართობზე, საჭიროა მეტი მონდომება, და საქმის სიყვარული, ორტოქნიკური წესების ზუსტად დაცვა, ნათესების საგულდაგულოდ მოვლა და მოწაც ათმაგად აანაზღაურებს გარჯას.

წელს საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრა — მოიწიოს და სახელმწიფოს მიჰყიდოს 6 ათასი ტონა ბოსტნეული. რუიზანმა და მისმა მეგობრებმა კარგად იციან, რომ სიტყვას სწორედ საქმე ამშვენებს, სიტყვის გატეხა კი არ სჩვევიათ გომელ შრომიელებს და ისინი წელსაც ისახელებენ თავს, რესპუბლიკურ გარდამავალ წითელ დროშას შეინარჩუნებენ და ქება-დიდებასაც კვლავ დიმსახურებენ...

— შეჯიბრებაში კვლავ გავიმარჯვებთ, — დარწმუნებით ამბობენ მეურნეობის მოწინავენი. აკრონომი გურამ ქორიძე, ეკონომისტი ზაურ მამალაძე, პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარე გრიგოლ თევზაძე, ინჟინერ-მექანიზატორი ჯემალ ნიშნიანიძე, ჭოლა ჯინჭარაძის ბრიგადის წევრები — მამია მეგენეიშვილი, შოთა ცხვარაძე, კატია ბუბუტეიშვილი, მაქსიმე მეგენეიშვილის ბრიგადის წევრები — ჯანეკო მეგენეიშვილი და ეთერ ჩაჩუა უკვე კარგა ხანია გავიდნენ თავიანთ ნაკვეთებში სამუშაოდ, საფუძველს უყრიან ხუთწლედის დამაგვირგვინებელი წლის უხვ მოსავალს.

გ. თევზაძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.

ქსოვის ოსტატები

წელს თბილისის ყაკარდული ქსოვის ფაბრიკის კოლექტივი წარმატებით ართმევს თავს სახელმწიფო დავალებებს ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით. ფეიერები თავდადებით იბრძვიან შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ფასდაუდებელია ახალგაზრდობის წვლილი ფაბრიკის წინსვლის საქმეში. მისმა დიდმა ნაწილმა ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის შეასრულა ოთხი თვის დავალება.

საწარმოში უმთავრესად პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულები შრომობენ. ერთი მათგანია მქსოველი დალი ბესიაშვილი. მუშაობის სამი წლის მანძილზე კომკავშირელმა ქალიშვილმა საწარმოს მთელი კოლექტივის აღიარება დაიმსახურა.

სურათზე: დალი ბესიაშვილი და მქსოველთა ბრიგადის ხელმძღვანელი რევაზ კიკნაძე.

ჯ. ლომაძის ფოტო.

„კომუნისტს“ უპასუხებენ

საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიკომი და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

„ღალა მიწისა“ — ამ სათაურით „კომუნისტში“ დაბეჭდა მოწინავე სტატია, რომელშიც გაკრიტიკებული იყო რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები იმის გამო, რომ „რაიონულად არ იყენებენ სარწყავ მიწებს.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიკომის პირველი მდივანი გ. აბმეტელი და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ს. ჯინჭიხაძე რედაქციას ატყობინებენ, რომ კრიტიკა სამართლიანია.

ამჟამად ადიგენის რაიონის ვარხნის და მოხის საბჭოთა მეურნეობებში მიმდინარეობს მცირე მელიორაციის სამუშაოები და ფხერო-ენთელის მძლავრი ფყალსატუბი სადგურის მშენებლობა, რომელთა საშუალებით წლეულს რაიონში 3.000 ჰექტარზე მეტი სავარგული გასარწყავდება.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სარწყავი წყლის უყაირათო გამოყენებისა და სარწყავში მეტად მცირე მოსავლის მიღებისათვის ქარელის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარ აგრონომს ლ. ბერეგვაძეს გამოუცხადა საყვედური, 1978-1979 წლებში სარწყავი მიწების აღრიცხვის მოუწესრიგებლობისათვის გალის რაიონის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცოლეგიამ დასვა საკითხი „საქმთავარწყალმშენის“ წინაშე, რათა განახორციელოს ღონისძიებები სამელიორაციო მშენებლობაში არსებული ხარვეზების დროული ლიკვიდაციისათვის, განსაკუთრებით ხაშურის რაიონის, ქარელის რაიონის „მალხაზის წვერის“, კასპის რაიონის „აშურიანის ვილისა“ და სხვა ობიექტებზე.

● ●

საქართველოს კომპარტიის ადიგენის, წითელწყაროს რაიკომები და ტყიბულის საქალაქო კომიტეტი

„საკვების ხარჯვას — მკაცრი კონტროლი“ — ამ სათაურით „კომუნისტში“ დაბეჭდილ მეთაური წერილი გაკრიტიკებული იყვნენ ადიგენის, წითელწყაროს რაიონების და ტყიბულის ზონის საზოგადოებრივი მეურნეობების ფერმების მუშაკები, რომლებიც უყაირათოდ ხარჯავენ პირუტყვის საკვებს.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ადიგენის, წითელწყაროს რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები გ. აბმეტელი, ე. ყარაულაშვილი და პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის მდივანი ე. სოფრომაძე რედაქციას ატყობინებენ, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეესაბამება, განხორციელებულია კონკრეტული ღონისძიებები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის ბიურომ განიხილა სოფელ სახათლოს შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის კომპლექსური შემოწმების შედეგების საკითხი და სხვა დარღვევებთან ერთად მეცხოველეობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ბ. ავაქიანი გაათავისუფლა თანამდებობიდან, მკაცრად დაისაჯნენ მეცხოველეობის დარგის სპეციალისტებიც.

კრიტიკული წერილის საფუძველზე საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტმა განახორციელა ქმედითი ღონისძიებანი: სამეურნეო წესით და შეფების დახმარებით აშენდა ერთი საკვებშემამზადებელი საამქრო, ზონის მეცხოველეობის ფერმები განმტკიცდა კადრებით და საკვების ხარჯვას დაუწესდა მკაცრი კონტროლი.

საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიკომის ბიურომ საგანგებოდ განიხილა პირუტყვის გამოზამთრების მიმდინარეობის საკითხი. განხორციელებული ღონისძიებების წყალობით რაიონში არსებული 2 საკვებშემამზადებელი საამქრო შეუფერხებლად მუშაობს, დაწყებულია და წლის ბოლომდე დამთავრდება კიდევ ოთხი საამქროს მშენებლობა.

ვამზადოთ მშენებელთა კადრები

ახლა, როცა წინა პლანზე დგება მშენებლობის ეფექტიანობის ამაღლების, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების, ახალ სიმძლავრეთა ამოქმედების დაჩქარების საკითხები, საქმის წარმატებას, როგორც ყოველთვის, ადამიანები, კადრები წყვეტენ.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საწარმოთა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, სამეურნეო ხელმძღვანელებისადმი მაღალი მომთხოვნელობის ნიშნით ჩაიარა დარგის კოლეგიის გაფართოებულმა სხდომამ, რომელზეც განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის XVII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების ღონისძიებანი.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილემ გ. მიქაძემ.

პლენუმის შემდეგ განვლილი დროის მანძილზე № 1, № 2, № 8 ტრესტებში, „მშენდეტალში“, ქუთაისის ესპერიმენტულ სახლთსაშენებელ კომბინატსა და დარგის სხვა ქვეგანაყოფებში უკვე განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებმაც ხელი შეუწყეს სპეციალისტებით დიდმნშვნელოვან მშენებლობათა დაკომპლექტებას, მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

№ 10, № 14, № 15 სამშენებლო მექანიზაციის ტრესტების, სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელობა მეტ ყურადღებას ყოფმობს საბაზო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთან საწარმოო ურთიერთობის დამყარებას, მათი ტექნიკური სასწავლო ბაზის სრულყოფას, ახალგაზრდა სპეციალისტთა დამკვიდრებას საშენებლო მოედნებზე, საშენებლო წარმოების ოსტატთა შორის დამრეგვლობის, მოძრაობის განვითარებას.

ამასთანავე კოლეგიაზე მკაცრად გააკრიტიკეს № 5, № 9 ტრესტების ლოლოს სახლთსაშენებელი კომბინატის, ბზიფის ექსპერიმენტული სახლთსაშენებელი კომბინატის კოლექტივები, სადაც შრომის დისციპლინის განმტკიცების, კადრების მომზადებისა და დამკვიდრებისათვის მუშაობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოთხოვნებს. (საქინფორმი).

● ●

პარტიული წრთობისათვის

ზუგდიდი. (საკ. კორ. გ. ნოდია). პარტიის ზუგდიდის რაიკომთან მუშაობს ახალგაზრდა კომუნისტთა სკოლა.

მრავალფეროვანია ამ სკოლის პროგრამა. ახალგაზრდა კომუნისტები აქ გადიან პარტიულ წრთობას, ისმენენ ლექციებს, მოხსენებებს ჰარტიული მშენებლობის მნიშვნელოვან საკითხებზე. აქ ხშირად ეწყობა თეორიული კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები.

ერთ-ერთ ბოლო მეცადინეობაზე მოისმინეს პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივნის ი. თოდუას მოხსენება „ზუგდიდის რაიონი მეათე ხუთწლედში და რაიონის ახალგაზრდა კომუნისტების ამოცანები“.

ბეჭვდითი სიტყვის დღის აღსანიშნავად

5 მაისს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა ბეჭდვითი სიტყვის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. აქ შეიკრიბნენ პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, წარმომადგენლები, ჟურნალ-გაზეთების რედაქციების, ტელევიზიის, რადიოს, გამომცემლობების, პოლიგრაფიული საწარმოების მუშაკები და მუშაკორთა აქტივი.

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ნ. გურგენიძემ.

დამსწრეთა ერთსულოვნად აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური „შაკის“ საპატიო წოდებათა მიმნიჭებელ კომისიის [illegible] — [illegible] — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის მბეჭდავი გ. ჯაფარიძე, გაზეთ „კომუნისტის“ ბახოფფილების გამგე ვ. თორდუა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი ქ. ხარაიძე, გაზეთ „ვეჩერნი თბილისის“ გაზეთფილების გამგე ვ. ხარაზოვი, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ჯ. ჩარკვიანი.

საზეიმო სხდომას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ვ. ქარუმიძე. (საქინფორმი).

პრემიები — ჟურნალისტებს

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სამდივნომ 1979 წლის საუკეთესო ჟურნალისტური ნაშუშევრებისათვის სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის პრემიები მიანიჭა:

ე. ვ. ბაბეკო-პოეტორადნას — რესპუბლიკური „რაბოჩაია გაზეთას“ (უკრაინის სსრ) რედაქტორს მოადგილეს, **ვ. ე. კურმანს** — განყოფილების გამგეს, **რ. ა. ლიტვინს** — უკრაინის ტელევიზიის რედაქტორს, **ა. ვ. ნოზდრიაკოვს** — გაზეთ „ვეჩერნაია მოსკვას“ საზოგადოებრივი სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარეს, **ნ. ი. ნომოფილოვას** — გაზეთ „სოვეტსკაია ტორგოვლიას“ განყოფილების რედაქტორს — მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობისა და საქალაქო ტრანსპორტის ორგანიზაციის სრულყოფისათვის გაზეთის პუბლიკაციებისა და სტენოგრამების გადაცემების სერიისათვის;

ვ. ი. ბაულინს — საქალაქო გაზეთ „ჩერემხოვსკი რაბოჩის“ (ირკუტსკის ოლქი) განყოფილების გამგეს — ნარკვევებისათვის „მისი სიმაღლე“, „სტეფანე ჩერნოვის ბედნიერება“, „შესანშნავი შენადნობი“;

ვ. პ. ბეკეტოვს — სსრ კავშირის სახტალერადიოს პოლიტიკურ მიმმხილველს — გამოსულებისათვის „სატელევიზიო პროგრამით „შეხვედრები თქვენი თხოვნით“.

ვ. ნ. ბელოუსოვს—გაზეთ „პრავდის“ სპეციალურ კორესპონდენტს — ნარკვევებისათვის „ყარშის ციხარტყელა“, „ლუქაელი ლუბა“, „მუდამ ულოდვევი“, „პარტიის ჯარისკაცები“;

ა. პ. ბოროზდნას — პერესლავის რაიონულ გაზეთ „კომუნარის“ (იაროსლავლის ოლქი) განყოფილების გამგეს — სტატიებისათვის „მაგისტრალური გზაზე“;

გ. ი. ბრანდტს — გაზეთ „სელსკაია ჟიზნის“ განყოფილების რედაქტორს; **ვ. ბ. იორდანსკის** — გაზეთ „ზა რუბეჟომის“ მთავარი რედაქტორის მოადგილეს, **ლ. კ. მირონოვს** — „პრავდის“ კორესპონდენტს ავღანეთში, **გ. ბ. ნადეჟდინს** — საკავშირო ფოტოქრონიკის რედაქციის გამგეს, **ა. რ. ნიაზმატოვს** — გაზეთ „სოვეტსკაია კულტურას“ სპეციალურ კორესპონდენტს, **ო. ი. ოპარინს** — გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ სპეციალურ კორესპონდენტს, **ა. ა. პროხანოვს** — „ლიტერატურნაია გაზეტას“ სპეციალურ კორესპონდენტს, **კ. ფ. რაშიდოვს** — გაზეთ — „იზვესტიის“ საკუთარ კორესპონდენტს ავღანეთში — მასალების სერიისათვის, რომლებიც გვაცნობს ავღანელი ხალხის რევოლუციურ მონაპოვრებსა და ქვეყანაში მომხდარ დემოკრატიულ გარდაქმნებს.

ლ. გ. ბუტკოვსკაიას — ჟურნალ „კრეხტიანეკას“ ლიტერატურულ თანამშრომელს ნარკვევებისათვის „გუშინ, დღეს, ხვალ...“;

ბ. ვ. ვორობიოვს — საოლქო გაზეთ „ურალსკი რაბოჩის“ (სვერდლოვსკი) განყოფილების გამგეს — ფელეტონებისათვის „გაამოთ!“, „გორდიასის სანკვანძი“, „ექსპერიმენტი მიჯნაზე“, „ბრძოლა ბუნებასთან“;

ნ. ხ. გარიფულინას — რესპუბლიკური გაზეთი „კაზახსტანსკაია პრავდას“. განყოფილების გამგეს — ნარკვევებისათვის „ბედნიერების მეცოდინე“, „დედის ნათელი“, „პირველი მინდორი“, „გმირის სამშენი“;

ა. ა. ეიტმარსკის — ჟურნალ „სოვეტსკი სპორტის“ მთავარ მხატვარს — პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული და გამომცემლობა „პლაკატის“ მიერ გამოცემული პოლიტიკური პლაკატებისათვის: „ძარს კოლონიზატორები და ომის გამჩაღებლები!“ და „თავისუფლების ნიღბით“;

ნ. ა. ზენკოვიჩს — რესპუბლიკურ გაზეთ „ზვიაზდას“ (ბელორუსიის სსრ) განყოფილების გამგეს — პუბლიკაციებისათვის რუბრიკით „განვითარებული სოციალიზმის მშრომელთა სოციოლოგიური პორტრეტები“;

მ. მ. ილინსკის — გაზეთ „იზვესტიის“ საერთაშორისო მიმმხილველს, **ვ. ნ. სკვორცოვს** — გაზეთ „პრავდის“ მიმმხილველს— მასალებისათვის, რომლებშიც აღწერილია ვიეტნამელი ხალხის გმირობა ჩინელი აგრესორების წინააღმდეგ ბრძოლაში, თავისი სოციალისტური სამშობლოს დაცვაში;

ნ. გ. კოზლოვს — „ეკონომიჩესკაია გაზეტას“ საკუთარ კორესპონდენტს „სოციალურ-ეკონომიკური ნარკვევებისათვის „როგორ ათვინიერებენ ზეკებს“, „დედამიწის ცოცხალი ხსოვნა“, „ოზოო სიკეთით“;

გ. ვ. კოპოსოვს, ლ. ნ. შერსტენეკოვს — ჟურნალ „ოგონიოკის“ ფოტოკორესპონდენტებს — სურათებისათვის, რომლებიც დაიბეჭდა ჟურნალში და შევიდა ფოტოალბომში „ამხანაგი კამბაზი“ (გამომცემლობა „პლაკატი“);

ი. ბ. ლევიტანს — საკავშირო რადიოს დიქტორს, **ბ. მ. ლეშჩინსკის** — კომენტატორს, **ა. ს. იაროშევსკის** — საკუთარ კორესპონდენტს — რადიოგადაცემებისათვის „გვწერენ ვეტერანები“;

ნ. ვ. მიშინს — ხარკოვის ს. ორჯონიკიძის სახელობის სატრაქტორო ქარხნის მრავალტირაჟიან გაზეთ „ტემპის“ რედაქტორს — სტატიებისათვის „ტრაქტოროგრადის საქმეები და ადამიანები“;

ვ. მ. პეხკოვს — გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ სპეციალურ კორესპონდენტს ნარკვევებისათვის „შარაგზები“;

ი. ა. პიატნიცკის — საოლქო გაზეთ „კომუნისტის“ (სარატოვი) განყოფილების გამგეს — რეპორტაჟებისა და სტატიებისათვის „ვისაც სინათლე მოაქვს“, „თეატრალათანი ლაზერი“, „გაბედული ხსნივთი“, „მზეს რომ აკვირდები“;

ხ. ვ. რაუნისტეს — კინგისეპის რაიონული გაზეთის „კომეუნიზმი-ეპრტაიის“ (ესტონეთის სსრ) განყოფილების გამგეს — მასალებისათვის რუბრიკით „ეს აქტუალურია“;

თ. ნ. როდიონოვს (სოკადილის შემდეგ) — ჟურნალ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული ნარკვევისათვის „წარსულის გამქრალი ნაკვალევი“;

მ. ა. შიუპშინსკასს — საინფორმაციო ბიულეტენის „დარბაზი ო პოიდლსისის“ („შრომა და დასვენება“, ლიტვის სსრ) მთავარ რედაქტორს — საქალაქო გაზეთ „ვეჩერნიე ნოვოსტში“ (ვილნიუსი) გამოქვეყნებული მასალების ციკლისათვის რუბრიკით „საღამო მშვიდობისა“.

✦

ვ. ვ. ეოროვსკის საბჭოთა პრემიები საერთაშორისო ჟურნალისტიკის დარგში საუკეთესო ნაწარმოებებისათვის მიენიჭათ გაზეთ „იზვესტიის“ პოლიტიკურ მიმმხილველს **ა. ე. ბოვინს** — გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნებული მასალებისათვის და ტელევიზიითა და რადიოთი გამოსვლებისათვის; გაზეთ „პრავდის“ მიმმხილველს **ხ. ნ. ვიშნევსკის** — სტატიებისათვის საერთაშორისო პრობლემებზე: ჟურნალ „ალ პადფის“ (პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია) მთავარ რედაქტორს **ბასამ აბუ შარიფს** — სტატიებისა და ინტერვიუების სერიისათვის, რომლებიც პროპაგანდას უწევენ სსრ კავშირისა და არაბული ქვეყნების მეგობრობასა და თანამშრომლობას; გაზეთ „ლუმანიტეს“ (საფრანგეთი) კომენტატორს **პიერ დიურანს** — სტატიების სერიისათვის, რომლებიც პროპაგანდას უწევენ ხალხთა შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას; გაზეთ „რუდე პრავოს“ (ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა) მიმმხილველს **სტანისლავ ობორსკის** — საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა და შრომისადმი, საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისადმი მიძღვნილი სტატიების სერიისათვის.

✦

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სამდივნომ მ. ი. ულიანოვას საბჭოთა პრემიები მიანიჭა მთელი რიგი საქალაქო, რაიონული, გაერთიანებული და მრავალტირაჟიანი გაზეთების რედაქციებს 1979 წელს მასობრივი მუშაობის საუკეთესო დაყენებისათვის.

საპატიო წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკისა

გაბუნიას დალილა კონსტანტინეს ასულს — ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ ტექნიკურ რედაქტორს, **ვეფაძეს** გურამ გლაქტიონის ძეს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის მბეჭდავს, **ვეფაძეს** ანტონ კირილეს ძეს — პერსონალურ პენსიონერს, **მაისურაძეს** ვახტანგ ილიას ძეს — გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქტორის მოადგილეს, **მარუაშვილს** გივი ალექსანდრეს ძეს — ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ განყოფილების გამგეს, **ნიკოლაიშვილს** ვახტანგ ვალერიანის ძეს — გაზეთ „თბილისის“ განყოფილების გამგეს, **სტეპანოვს** თეიმურაზ გიორგის ძეს — საინფორმაციო დირექტორს, **ტერ-ოგანესიანს** სერგი ნიკიტას ძეს — გაზეთ „გუდოკის“ საკუთარ კორესპონდენტს, **შლარბას** ვლადიმერ ნიკოლოზის ძეს — გაზეთ „აფსნი ყაფშის“ მთავარმენელს, **ჩერქეზიშვილს** ნიკოლოზ გიორგის ძეს — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორს, **ხაჩატურიანს** გიორგი არშავირის ძეს — გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“ განყოფილების გამგეს;

ენუქიძეს ჯიმშერ გიორგის ძეს — გაზეთ „კომუნისტის“ უფროს კორესპონდენტს, **ერმაშკევიჩს** ანდრია ანდრიას ძეს — გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიას“ რედაქტორს, **ვადაჭკორიას** ამირან ვარლამის ძეს — აჭარის სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს, **იმნაძეს** რევაზ მიხეილის ძეს — გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ განყოფილების გამგეს, **კილენჯარიძეს** ანტონ კირილეს ძეს — პერსონალურ პენსიონერს, **მაისურაძეს** ვახტანგ ილიას ძეს — გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქტორის მოადგილეს, **მარუაშვილს** გივი ალექსანდრეს ძეს — ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ განყოფილების გამგეს, **ნიკოლაიშვილს** ვახტანგ ვალერიანის ძეს — გაზეთ „თბილისის“ განყოფილების გამგეს, **სტეპანოვს** თეიმურაზ გიორგის ძეს — საინფორმაციო დირექტორს, **ტერ-ოგანესიანს** სერგი ნიკიტას ძეს — გაზეთ „გუდოკის“ საკუთარ კორესპონდენტს, **შლარბას** ვლადიმერ ნიკოლოზის ძეს — გაზეთ „აფსნი ყაფშის“ მთავარმენელს, **ჩერქეზიშვილს** ნიკოლოზ გიორგის ძეს — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორს, **ხაჩატურიანს** გიორგი არშავირის ძეს — გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“ განყოფილების გამგეს;

ახალი ექსპოზიცია

ტრადიციისამებრ, 5 მაისს, ჟურნალისტთა, პოლიგრაფისტთა და გამომცემელთა დღესასწაულის დღეს, მოსკოვში, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე „საბჭოთა ბეჭდვითი სტყვის“ პავილიონში ახალი ექსპოზიცია გაიხსნა.

გამოფენაზე წარმოდგენილია ლენინის ნაშრომების სხვადასხვა გამოცემები, ბელადის თანამედროვეთა მოგონებები და მის სახელთან დაკავშირებული ფოტოდოკუმენტები.

ექსპონირებული გამოცემები მნახველს აცნობს მოსკოვსა და სხვა ოლიმპიურ ქალაქებს, ოლიმპიური მოძრაობის ისტორიას და დღევანდელობას, გამოჩენილი საბჭოთა და საზღვარგარეთელ სპორტსმენებს. დამთვალიერებელთა დიდ ინტერესს იწვევს სუვენირები და რუსული ენის დამხმარე სახელ

საერთაშორისო ცხოვრება
დღიურის ჟურნალი

ვაჟკაცსა გული რკინისა...

ეროიერიშე დივიზიონის მეთაური

ეოსკოვში, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების წითელი ვარსკვლავის ორდენოსან (ცენტრალურ) მუზეუმში შემთხვევით გავიცანი გადამდგარი პოლკოვნიკი ა. ი. ა. ვასილიევი. საუბრის დროს საბჭოთა ხალხის უწმინდეს ომელიკვის, გამარჯვების დღიურს მივუთალოდოდით.

— იცით, — მითხრა ჭაღარა-მოსილმა ომის ვეტერანმა, — ორმოცდაოთხის მაისში ჩვენი 150-ე მსროელი დივიზიის „კატიუშების“ პირველი მოიერიშე დივიზიონი დიდად დაეხმარა ეროოლია და ქანთარიას რაიხსტაგის გუმბათზე ამ დროშის აფრიალებაში. დივიზიონს, რომელსაც მაეი მაიორი ქართველშვილი მეთაურობდა, მის პატივსაცემად „ქართულს“ უწოდებდნენ.

ი. ვასილიევის ნაამბობმა დამაინტერესა, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველშვილზე დაწერილებითი ცნობები ვერ მომაწოდა. მეორე დღეს, როგორც მან მირჩია, დაბარებება ვთხოვე საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის მუშაკებს, სადაც გენერალი ვ. ი. კუზნეცოვის მესამე არმიის 150-ე მსროელი დივიზიის ვეტერანთა რამდენიმე მისამართი მომცეს.

და აი, დაიწყო იმ ადამიანების ხანგრძლივი ძებნა, რომლებიც ა. ქართველშვილის იცნობდნენ. მისამართები იკვლევდოდა. თანდათანობით დიდძალ მასალას მოკუეყარე თავი ჩვენი მამაცი თანამემამულის შესახებ. სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს (ცენტრალური არქივის) მონაცემებით და ომის ვეტერანთა ნაამბობის მიხედვით, მაიორი ა. ქართველიშვილი კატუშა-ანტიეროშის ნაწილების ერთადერთი ქართველი მეთაური იყო. მალე, ქართველიშვილის თანამოკელეთა დაბმარებით, გავიცანი მისი ვაჟი ვალოდია, რომელმაც შეიასო ჩემი ცნობები მამამისის შესახებ.

...ალექსანდრე ივანეს ძე ქართველიშვილი დაიბადა 1918 წელს სიონაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხანაში, აქვე მუშაობდა უმცროს ზოოტექნიკოსად. 20 წლის ჭაბუკი იყო, 1938 წელს ჯარში რომ გაიწვიეს. ომის დაწყება ქართველშვილისათვის დიემთხვა როსტოვის საარტილერიო სასწავლებლის დამთავრებას. ახალგაზრდა ლეიტენანტები მაშინვე გაგზავნეს ფრონტზე, ნიჭიერი ქართველი ოფიცერი დანიშნეს ბატარეის მეთაურად, რომელიც ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე იბრძოდა, შემდეგ კი ბრიანსკის ფრონტზე გადაიყვანეს. მუყაითმა და წიგნიერმა მეთაურმა არტილერისტმა მალე მიიპყრო ყურადღება. რამდენიმე ახალგაზრდა ოფიცერთან ერთად უფროსი ლეიტენანტი ქართველშვილი ზურგში გაგზავნეს, სადაც ამ დროს უკვე იქმნებოდა ახალი საბჭოთა საეფოქმო იარაღის ნაომსატყორცნების ნაწილები...

...1942 წლის იულისში ქართველიშვილს დაავალეს რეაქტიული დანადგარ ე ბ ი ს 501-ე ცალეული ნაღმსატყორ ც ნ ი დივიზიონის ჩამოყალიბება. ითვალისწინებდნენ რა, რომ ეს ნაწილები ახალი მძლავრი გვარობის, თანაც განსაკუთრებული იყო, მათ განსაკუთრებულ მოთხოვნილებას უყენებდნენ. მოკლე ხანში უნდა შექმნილიყო ბრძოლისუნარიანი დივიზიონი.

ყველაფერი თავიდანვე იყო დასაწყები, რასაც დრო სჭირდებოდა, ეს დრო კი არ იყო. ფერმანელები ყოველი მხრიდან გვიტევდნენ. უმაღლესი სარდლობა მოითხოვდა სწრაფად დაუფლებოდნენ ტექნიკას და წასულიყვნენ ფრონტზე.

ეს პირველი სერიოზული გამოცდა იყო დივიზიონის მთელი პირადი შემადგენლობისათვის და, უწინარეს ყოვლისა, დივიზიონის მეთაურის ალექსანდრე ქართველიშვილისათვის. იგი ოამეებს ათვლდა ახალი საბრძოლო ტექნიკის, ბრძოლაში რეაქტიული დანადგარების გამოყენების სხვადასხვა ინსტრუქციის შესწავლაში.

დივიზიონის საბრძოლო ნათლობა კოზელსკ-სუხინიჩის რაიონში მოხდა. ახალი იარაღის ცვლილის შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარა, მტერმა მთელი საბრძოლო ტექნიკა პიატოვა და გაიქცა. დივიზიონის მეთაურს და მთელ პირად შემადგენლობას არმიის სარდალმა მადლობა გამოუცხადა.

დივიზიონი შემდეგ ალინინის ფრონტზე გაგზავნეს. ა. ქართველიშვილმა აქაც თავი გამოიჩინა როგორც მცოდნე არტილერისტმა, მამაცმა და გამბედავმა მეთაურმა. 1942 წელს იგი საკ. კპ (ბ) წევრად მიიღეს.

1943 წლის იანვარში ქართველიშვილის დივიზიონი მეხუთე გვარდიული ნაომსატყორცნი დივიზიის 23-ე გვარდიული ნაომსატყორცნი ბრიგადის შემადგენლობაში შევიდა. ეს იყო წითელი არმიის რეაქტიული არტილერიის უმძლავრესი შენაერთი, რომლის ბადალი მსოფლიოს არ ახსოვს.

ალექსანდრე ქართველიშვილმა ინიციატივა გამოიჩინა და შექმნა „მომთაბარე“ ბატარეები, თვით საკეცლი ჯგუფები და დანადგარები. ისინი ოპერატიულად ჩნდებოდნენ ხოლმე იქ, სადაც ქვეით ჯარს უშველდა მოწინააღმდეგის შემოტევის მოგერიება. მათი ცვლილი, ჩვეულებრივ ღამით, ფრიად ეფექტიანი იყო.

განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა ქართველი ოფიცრის ნიჭი კურსკის ბრძოლაში.

22-ე გვარდიული ბრიგადის პოლიტნაწილის ყოფილი უფროსი, გადამდგარი გვარდიის პოლკოვნიკი ვ. ნ. ლუტოვი (ქ. იაროსლავი) იხსენებს:

„...ტრისნ-ბოჩკოვის რაიონში, სადაც 70-ე არმია მოქმედებდა (ორიოლ-კურსკის რკალზე), მოწინააღმდეგის მძლავრად გამაგრებული პუნქტი აღმოჩნდა. ამ სიმაგრეთა დანგრევა ქართველიშვილის დივიზიონს დაევალა. საკეცხლი პოზიციის მესაესვლელებს (ცვლის) უშენდნენ გერმანელები, რადგან აქ ღია ადგილი იყო. აუღლებას, საბრძოლო ამოცანის შესრულებას.

ზოგიერთ ნაშრომში მოკლედ, სქემატურად არის ნახსენები ქართული ეროვნული შენაერთები, რომლებიც სამამულო ომის ფრონტებზე მოქმედებდნენ. ამის შესახებ მხოლოდ ზოგადად არის ლაპარაკი. არაფერია თქმული მათი შექმნის, ფორმირების, კონკრეტული საბრძოლო დამსახურების შესახებ. ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ ომის ყველაზე მძიმე კრიზისულ მომენტში, კერძოდ 1942 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე, პარტიის რიგებში ფრონტზე და ზურგში ბევრი ახალი წევრი მოვიდა.. ეს იყო პარტიის გარშემო ხალხის მასების საბრძოლო დარაზმულობის დასტური. ასე იყო ქართულ, ეროვნულ დივიზიებშიც, მაგრამ ამაზე წიგნებში არაფერია თვალსაჩინოდ ნათქვამი. ვფიქრობთ, ყოველივე ამაზე ნათლად, დამაჯერებლად უნდა დაიწეროს.

ამ ბოლო დროსაც საიუბილეო თარიღებთან, დიდი სამამულო ომის მნიშვნელოვანი მოვლენების აღნიშვნასთან დაკავშირებით, შეიმჩნევა საგშირო-პატრიოტული თემატიკით დაინტერესება, (ნაბილი ომების გახსენება, რაც თავისთავად კარგი, საჭირო საქმეა. ასეთ მისწრაფებას, როცა იგი საქმის (ოდენით კეთდება, ყოველმხრივ მხარი უნდა დავუჭიროთ, მაგრამ ეუდია, როცა მომრავლდა მოხალისე, არაკომპეტენტური ავტორების მიერ მოგონილი თუ უმნიშვნელო ამბების გადაჭარბებული, ზაზვიადებული აღწერა, ომის თემებზე გამოქვეყნებული ზერელე წერილები, მოგონებები თუ ნარკვევები, რომლებშიც ცოტა როდია უზუსტობა, მცდარი მსჯელობა. მოვიყვანთ ასეთ მაგალითს:

ეთოოდ კარგი საქმე ითავა კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურმა საჯარო ბიბლიოთეკამ, როცა ამ რამდენიმე ხნის წინათ შეადგინა „დიდებით მოსილნი“—„საბჭოთა კავშირის გმირები საქართველოდან. ლიტერატურის სარეკომენდაციო საძიებელი“. უეჭველია ასეთი „საძიებელი“ ერთგვარ დახმარებას გაუწევს ამ საკითხით დაინტერესებულ მკითხველს.

ასეთ „საძიებელში“ ყველაფერი ზუსტი, უტყუარი უნდა იყოს, მაგრამ ამ მხრივ იგი უთუოდ სცოდავს. „საძიებლის“ 447-ე გვერდზე ლაპარაკია ერთ საკაზეთო მასალაზე, კერძოდ — „ცა რომ ულრო ბოო ყოფილიყო“. ანოტაციაში ნათქვამია: „წერილიდან ვეცნობით მისი (ხოვრების ბრძოლო ეპიზოდებს: გომელთან გამაგრებული მტრის დაბომბვას, ვარშავის განთავისუფლებისათვის წარმოებულ (!) ოთულ ოპერაციას“.

აქ, ანოტაციის სტილზე რომ არაფერი ვთქვათ, სერიოზული შეცდომაა დაშვებული. როგორ შეიძლება ერთ მეომარზე, მფრინავ ლეიტენანტზე დაწერილ წერილში გავეცნოთ „ვარშავის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ოპერაციას“? ამის პრეტენზია ალბათ, არც წერილის ავტორს და არც მის გმირს ექნებოდთ, იმ განსაგები მიზეზის გამო, რომ ასეთ „ოთულ ოპერაციაში“ ათიათასობით ძეომარი, ათობით საჯარისო შენაერთი და გაერთიანება მონაწილეობს და ბრძოლაში მას არმიის ან ფრონტის სარდლობა ხელმძღვანელობს.

შემდეგ „საძიებლის“ ანოტაციის მორიგ აბზაცში კვითხულობთ: „პოზნანის გამაგრებული ერთ-ერთი ობიექტის განადგურებით... ესკადრილიამ საშუალება მისცა საბჭოთა არმიას განვითარებინა ძლევამოსილი შეტევა ფაშისტური გერმანიის საბოლოო განადგურებისათვის (!)“.

აი ეს კი უკვე მეტისმეტია! განა რა მაგიური ძალა და შესაძლებლობა ჰქონდა ჩვენი ავიაციის ერთ-ერთ ქვეგანაყოფს, ესკადრილიას, ამ ტექნიკურ ერთეულს, რომ ასეთი ვეებერთელა საქმე გაეკეთებინა ჩვენი შემტევი არმიისათვის, ასეთი სტრატეგიული ამოცანა გადაეწყვიტა? ეს წარმოუდგენელია, შეუძლებელია. ასეთი რამ არ ხდება...

(ხდება, საბჭოდრო თემაზე ასეთი „რეკომენდაციები“ არ გამოგვადგება, იგი მკითხველს მცდარ წარმოდგენას შეუქმნის, ჩვენ მხოლოდ ორიოდე დამახასიათებელი, გასასწორებელი შეცდომისა და უზუსტობის მაგალითი აღვნიშნეთ, რაც საბჭოდრო-საისტორიო და სამხედრო-მემოარული წიგნების, ლიტერატურის ავტორებმა და რედაქტორებმა უნდა გაითვალისწინონ თავიანთი საპატიო, პასუხსაგებ შემოქმედებითს მოღვაწეობაში.

ასეთი შეცდომების ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ის არის, რომ მსგავსი მასალების ავტორები სარგებლობენ მეომრული თემატიკის აქტუალობით, მკითხველთა შორის მისი დიდი პოპულარობით, ჩქარობენ, ნაკლებად ეზრუნავენ საკითხების ღრმად შესწავლაზე, მათ საფულდაფულოდ მომზადებაზე, ხოლო პროსისა და გამომცემლობის ზოგიერთი ორგანო ნაკლებ მომთხოვნელობას იჩენს. ძალზე საჭიროა, რომ სამხედრო-პატრიოტულ თემაზე დაწერილი წიგნი, სტატია თუ ნარკვევი დახელოვნებულმა, მცოდნე, მომთხოვნი რედაქტორისა და რედაქტორის ხელში მოხვდეს და შემდეგ გამოქვეყნდეს. აქ ყოველი სიტყვა, წინადადება აწონ-დაწონილი უნდა იყოს, თავის ადგილზე იდგეს.

ერთი სიტყვით, ამ დარგში შექმნილი სამეცნიერო-მონოგრაფიული, სამეცნიერო-პოპულარული თუ პუბლიცისტურ-მხატვრული წიგნი ხელს უნდა უწყობდეს ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდას, ჭაბუკთა მომზადებას სამხედრო სამსახურისათვის, გააცნოს მათ ჩვენი არმიისა და ფლოტის სახელოვანი საბრძოლო ტრადიციები, მისი მეომრების საპატიო მოვალეობა, მათი მეფდრული წრთობა, ზნეობრივი სისპეტაკე, საჯარისო ამხანაგობისა და მეგობრობის შესანაშენი მისაბაძი ნიმუშები.

მიზანშეწონილია შეიქმნას სამხედრო მკვლევარების — ისტორიკოსების, კინონომიტების, სოციოლოგების, ფრონტელი მწერლებისა და ჟურნალისტების კომპეტენტური შემოქმედებითი ჯგუფი, რომელიც დაწერდა მეცნიერული ღირებულების მქონე შთამბეჭდავ სამაგიერო წიგნს „საქართველოს სს რესპუბლიკა დიდ სამამულო ომში“; ეს თემა სრულად უნდა გაშუქდეს „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ მორიგ, IX ტომში. საჭიროა შეიქმნას და მასობრივი ტირაჟით გამოიცეს მონოგრაფიული ნაშრომები: „საქართველოს კომუნისტები დიდ სამამულო ომში“, „ქართული ეროვნული დივიზიების საბრძოლო გზა“. სასურველია გამომცემლობა „განათლებამ“ შეარჩიოს ფრონტელი მწერლებისა და ჟურნალისტების საუკეთესო მოთხრობები და ნარკვევები, სასკოლო ბიბლიოთეკის სერიით პერიოდულად დასტამბოს ეს ნაშრომები — „ბამბ-პაპათა გმირობა“. ასე შეიქმნებოდა სრულყოფილი, მეცნიერული გამოკვლევები, მიზეზდებული, წარმტაცი საკითხავი წიგნები, რაც დიდ სამსახურს გაუწევდა ჩვენი ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საპატიო საქმეს.

ვფიქრობთ, ეს საპატიო, ეროვნული საქმე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა უნდა ითავოს.

პეტრე შამათავა.

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲗᲮᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ 35-Ე ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ

საპატიო მოვალეობა

მდიდარი, შინაარსიანი და მრავალფეროვანია ქართული სამხედრო-სამსახურეობრივ და სამხედრო-მემუარული ლიტერატურა. ბევრი კარგი, საინტერესო ნაშრომი გამოქვეყნდა და დაისტამბა ამ დარგში. ცხადია, ყველაკე დიდძალი მეცნიერული თუ ლიტერატურული შრომები მიეძღვნება დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების უმნიშვნელოვანეს თემას.

ბრძოლია სია ნაშრომებისა, რომლებიც სამამულო ომის თემას მიეძღვნა. მაგრამ უკანასკნელ ხანს რატომღაც მიხელდა ასეთი ლიტერატურის გამოცემა. ხოლო ის, რაც გამოცემულია, საჭიროებს კრიტიკულ გადახედვასა და შეკვლებ-შესწორებას. ამიტომ, ჩვენი აზრით, მომწიფდა ომის საჭიროება, რომ სამამულო ომის თემაზე დაწერილი ზოგიერთ ნაშრომში ბევრი არაფერია თქმული ომის დაწყების პირველი დღეების ისეთ საგულისხმო მომენტებზე, როგორიც არის პერემეშლის, ლიეპაის, მდინარე პრეტის, ხანკოს ნახევარკუნძულის თავდაცვითი ბრძოლები. ამ ბრძოლებში მოძმე ხალხთა შვილების მხარდამხარ ათასობით ქართველი ჯარისკაცი, მეთაური, პოლიტმუშაკი, კომუნისტი და კომკავშირელი მონაწილეობდა. ამიტომაც საჭიროდ მიგვაჩნია ამ მიდამოებში მტერთან შეტაკების მონმენტების სრულყოფილი აღწერა და ჩვენება.

ასევე ბევრგან არაფერი არ არის ნათქვამი იმაზე, რომ ომის პირველ დღეებში ჩვენი სახელმწიფოს საზღვარზე იდგა და იბრძოდა საბჭოთა არმიის 140 ათასამდე ქართველი მეომარი, ყველა კვარაუმის ჯარების წარმომადგენელი. განა ეს ფაქტი საისტორიო ნაშრომში მოხსენიების ღირსი არ არის?

ბევრ ნაშრომშია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ფრონტზე პოლიტმუშაკად 6.158 კომუნისტი გაგზავნა. მაგრამ ცოტა რამ ვიცით, თუ ვინ იყვნენ ისინი, რა გააკეთეს ფრონტზე, როგორ იბრძოდნენ, როგორ უწყობდნენ ხელს ჩვენგანყოფებში მებრძოლთა მორალურ-პოლიტიკური სულისკვეთების ამაღლებას, საბრძოლო ამოცანის შესრულებას.

ზოგიერთ ნაშრომში მოკლედ, სქემატურად არის ნახსენები ქართული ეროვნული შენაერთები, რომლებიც სამამულო ომის ფრონტებზე მოქმედებდნენ. ამის შესახებ მხოლოდ ზოგადად არის ლაპარაკი. არაფერია თქმული მათი შექმნის, ფორმირების, კონკრეტული საბრძოლო დამსახურების შესახებ. ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ ომის ყველაზე მძიმე კრიზისულ მომენტში, კერძოდ 1942 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე, პარტიის რიგებში ფრონტზე და ზურგში ბევრი ახალი წევრი მოვიდა.. ეს იყო პარტიის გარშემო ხალხის მასების საბრძოლო დარაზმულობის დასტური. ასე იყო ქართულ, ეროვნულ დივიზიებშიც, მაგრამ ამაზე წიგნებში არაფერია თვალსაჩინოდ ნათქვამი. ვფიქრობთ, ყოველივე ამაზე ნათლად, დამაჯერებლად უნდა დაიწეროს.

ამ ბოლო დროსაც საიუბილეო თარიღებთან, დიდი სამამულო ომის მნიშვნელოვანი მოვლენების აღნიშვნასთან დაკავშირებით, შეიმჩნევა საგშირო-პატრიოტული თემატიკით დაინტერესება, (ნაბილი ომების გახსენება, რაც თავისთავად კარგი, საჭირო საქმეა. ასეთ მისწრაფებას, როცა იგი საქმის (ოდენით კეთდება, ყოველმხრივ მხარი უნდა დავუჭიროთ, მაგრამ ეუდია, როცა მომრავლდა მოხალისე, არაკომპეტენტური ავტორების მიერ მოგონილი თუ უმნიშვნელო ამბების გადაჭარბებული, ზაზვიადებული აღწერა, ომის თემებზე გამოქვეყნებული ზერელე წერილები, მოგონებები თუ ნარკვევები, რომლებშიც ცოტა როდია უზუსტობა, მცდარი მსჯელობა. მოვიყვანთ ასეთ მაგალითს:

ეთოოდ კარგი საქმე ითავა კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურმა საჯარო ბიბლიოთეკამ, როცა ამ რამდენიმე ხნის წინათ შეადგინა „დიდებით მოსილნი“—„საბჭოთა კავშირის გმირები საქართველოდან. ლიტერატურის სარეკომენდაციო საძიებელი“. უეჭველია ასეთი „საძიებელი“ ერთგვარ დახმარებას გაუწევს ამ საკითხით დაინტერესებულ მკითხველს.

ასეთ „საძიებელში“ ყველაფერი ზუსტი, უტყუარი უნდა იყოს, მაგრამ ამ მხრივ იგი უთუოდ სცოდავს. „საძიებლის“ 447-ე გვერდზე ლაპარაკია ერთ საკაზეთო მასალაზე, კერძოდ — „ცა რომ ულრო ბოო ყოფილიყო“. ანოტაციაში ნათქვამია: „წერილიდან ვეცნობით მისი (ხოვრების ბრძოლო ეპიზოდებს: გომელთან გამაგრებული მტრის დაბომბვას, ვარშავის განთავისუფლებისათვის წარმოებულ (!) ოთულ ოპერაციას“.

აქ, ანოტაციის სტილზე რომ არაფერი ვთქვათ, სერიოზული შეცდომაა დაშვებული. როგორ შეიძლება ერთ მეომარზე, მფრინავ ლეიტენანტზე დაწერილ წერილში გავეცნოთ „ვარშავის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ოპერაციას“? ამის პრეტენზია ალბათ, არც წერილის ავტორს და არც მის გმირს ექნებოდთ, იმ განსაგები მიზეზის გამო, რომ ასეთ „ოთულ ოპერაციაში“ ათიათასობით ძეომარი, ათობით საჯარისო შენაერთი და გაერთიანება მონაწილეობს და ბრძოლაში მას არმიის ან ფრონტის სარდლობა ხელმძღვანელობს.

შემდეგ „საძიებლის“ ანოტაციის მორიგ აბზაცში კვითხულობთ: „პოზნანის გამაგრებული ერთ-ერთი ობიექტის განადგურებით... ესკადრილიამ საშუალება მისცა საბჭოთა არმიას განვითარებინა ძლევამოსილი შეტევა ფაშისტური გერმანიის საბოლოო განადგურებისათვის (!)“.

აი ეს კი უკვე მეტისმეტია! განა რა მაგიური ძალა და შესაძლებლობა ჰქონდა ჩვენი ავიაციის ერთ-ერთ ქვეგანაყოფს, ესკადრილიას, ამ ტექნიკურ ერთეულს, რომ ასეთი ვეებერთელა საქმე გაეკეთებინა ჩვენი შემტევი არმიისათვის, ასეთი სტრატეგიული ამოცანა გადაეწყვიტა? ეს წარმოუდგენელია, შეუძლებელია. ასეთი რამ არ ხდება...

(ხდება, საბჭოდრო თემაზე ასეთი „რეკომენდაციები“ არ გამოგვადგება, იგი მკითხველს მცდარ წარმოდგენას შეუქმნის, ჩვენ მხოლოდ ორიოდე დამახასიათებელი, გასასწორებელი შეცდომისა და უზუსტობის მაგალითი აღვნიშნეთ, რაც საბჭოდრო-საისტორიო და სამხედრო-მემუარული წიგნების, ლიტერატურის ავტორებმა და რედაქტორებმა უნდა გაითვალისწინონ თავიანთი საპატიო, პასუხსაგებ შემოქმედებითს მოღვაწეობაში.

ასეთი შეცდომების ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ის არის, რომ მსგავსი მასალების ავტორები სარგებლობენ მეომრული თემატიკის აქტუალობით, მკითხველთა შორის მისი დიდი პოპულარობით, ჩქარობენ, ნაკლებად ეზრუნავენ საკითხების ღრმად შესწავლაზე, მათ საფულდაფულოდ მომზადებაზე, ხოლო პროსისა და გამომცემლობის ზოგიერთი ორგანო ნაკლებ მომთხოვნელობას იჩენს. ძალზე საჭიროა, რომ სამხედრო-პატრიოტულ თემაზე დაწერილი წიგნი, სტატია თუ ნარკვევი დახელოვნებულმა, მცოდნე, მომთხოვნი რედაქტორისა და რედაქტორის ხელში მოხვდეს და შემდეგ გამოქვეყნდეს. აქ ყოველი სიტყვა, წინადადება აწონ-დაწონილი უნდა იყოს, თავის ადგილზე იდგეს.

ერთი სიტყვით, ამ დარგში შექმნილი სამეცნიერო-მონოგრაფიული, სამეცნიერო-პოპულარული თუ პუბლიცისტურ-მხატვრული წიგნი ხელს უნდა უწყობდეს ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდას, ჭაბუკთა მომზადებას სამხედრო სამსახურისათვის, გააცნოს მათ ჩვენი არმიისა და ფლოტის სახელოვანი საბრძოლო ტრადიციები, მისი მეომრების საპატიო მოვალეობა, მათი მეფდრული წრთობა, ზნეობრივი სისპეტაკე, საჯარისო ამხანაგობისა და მეგობრობის შესანაშენი მისაბაძი ნიმუშები.

მიზანშეწონილია შეიქმნას სამხედრო მკვლევარების — ისტორიკოსების, კინონომიტების, სოციოლოგების, ფრონტელი მწერლებისა და ჟურნალისტების კომპეტენტური შემოქმედებითი ჯგუფი, რომელიც დაწერდა მეცნიერული ღირებულების მქონე შთამბეჭდავ სამაგიერო წიგნს „საქართველოს სს რესპუბლიკა დიდ სამამულო ომში“; ეს თემა სრულად უნდა გაშუქდეს „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ მორიგ, IX ტომში. საჭიროა შეიქმნას და მასობრივი ტირაჟით გამოიცეს მონოგრაფიული ნაშრომები: „საქართველოს კომუნისტები დიდ სამამულო ომში“, „ქართული ეროვნული დივიზიების საბრძოლო გზა“. სასურველია გამომცემლობა „განათლებამ“ შეარჩიოს ფრონტელი მწერლებისა და ჟურნალისტების საუკეთესო მოთხრობები და ნარკვევები, სასკოლო ბიბლიოთეკის სერიით პერიოდულად დასტამბოს ეს ნაშრომები — „ბამბ-პაპათა გმირობა“. ასე შეიქმნებოდა სრულყოფილი, მეცნიერული გამოკვლევები, მიზეზდებული, წარმტაცი საკითხავი წიგნები, რაც დიდ სამსახურს გაუწევდა ჩვენი ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საპატიო საქმეს.

ვფიქრობთ, ეს საპატიო, ეროვნული საქმე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა უნდა ითავოს.

პეტრე შამათავა.

საერთაშორისო ცხოვრება
დღიურის ჟურნალი

ა. დევისის გამოსვლა

სან-ფრანცისკო, 5 მაისი. ლოზუნგით „ადამიანები, და არა მოგება!“ აქ გაიმართა ამერიკელ ამომრჩეველთა მასობრივი მიტინგი, რომელზეც გამოვიდა ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიისაგან ამ ქვეყნის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ა. დევისი. შეეხებოდა შტატები, განაცხადა მან, განიცდის უმწვავეს სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს, რომლის მთელი სიმძიმე ამერიკელ ხალხს აწევს. მთელ ქვეყანაში იხურება ასობით საწარმო და მილიონობით ადამიანი ემატება უმუშევართა არმიას, რომელმაც, ოფიციალური მონაცემებითაც კი, შრომისუნარიანი მოსახლეობის 7 პროცენტს მიაღწია.

როცა ბურჟუაზიული ეკონომისტები „დაქვეითებაზე“ ლაპარაკობენ, უამრავი ფერადკანიანი ამერიკელისათვის, ინდიელისათვის ეს ნიშნავს უმძიმეს კრიზისს, თქვა მან. საკმარისია ითქვას, მაგალითად, რომ ოკლენდში (კალიფორნიის შტატი) ამაოდ ეძებს სამუშაოს ყოველი მეორე ახალგაზრდა ზანგი. უზარმაზარი სახსრები ხმარდება სიკვდილისა და ნგრევის იარაღის შექმნას, მაშინ, როდესაც სოციალური დარგის პროგრამები განუწყვეტლივ იკვეცება. გამწვავებული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში ქვეყანაში აქტიურდებიან რეაქციის ყველაზე აღვირახსნილი ძალები.

დიდად სახიფათოა ამერიკის ახლანდელი ადმინისტრაციის ავანტიურისტული კურსი საერთაშორისო ასპარეზზე, ხაზი გაუსვა ა. დევისმა. იმის გამო, რომ ვაშინგტონი „ცივი ომის“ აღორძინების უგუნურ კურსს, კონფრონტაციის პოლიტიკას დაუბრუნდა და აშკარად უხეში ძალისა და დაძაბულობის შენელების ჩაშლის იმედი აქვს, ამ ბოლო ხანს უპრეცედენტოდ გამწვავდა საერთაშორისო ვითარება. ბურჟუაზიული პროპაგანდა, ამგვარი კურსის გამართლების მიზნით აღვიდგებს შოვინისტურ საომარ ისტერიას, ცდილობს ცილი დასწამოს საბჭოთა კავშირის პოლიტიკას.

ა. დევისმა აღნიშნა, რომ არც დემოკრატიულ, არც რესპუბლიკურ პარტიებს, რომლებიც მონოპოლისტური კაპიტალის იარაღს წარმოადგენენ, არ ძალუძთ გადაჭრან ქვეყნის წინაშე მდგომი პრობლემები, და ჩამოაყალიბა ამერიკელ კომუნისტთა პროგრამა.

ᲒᲐᲖᲐᲗᲣᲠᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ



ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ და ჩეხოსლოვაკიელი ხალხების მეგობრობას მტკიცე საფუძველი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ჩაეყარა. განსაკუთრებით გაღრმავდა იგი ომის შემდგომ წლებში. 10 წლის წინათ პრაღაში ხელმოწერილმა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებამ კიდევ უფრო გააფართოვა ეკონომიკური და კულტურული კავშირურთიერთობა ამ მოძმე ქვეყნებს შორის.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირი უანგარო, ძმურ დახმარებას უწევს ეთიოპიელ ხალხს ახალი ცხოვრების მშენებლობაში. განსაკუთრებით გაფართოვდა ეს დახმარება 3 წლის წინათ სოციალისტურ ეთიოპიასა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის დეკლარაციის ხელმოწერის შემდეგ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ჩეხოსლოვაკიის ქალაქ პლზენის ვ. ი. ლენინის სახელობის სამრეწველო გაერთიანება „შკოდას“ ერთ-ერთ საამქროში (ზევით); ეთიოპიის ქალაქ ასმარის ხედი.

საკ. ᲔᲗᲘᲝᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲙᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

ი. ბროზ ტიტოს გარდაცვალების გამო

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ, 5 მაისი. იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმმა მიიღეს მიმართვა იუგოსლავი მშრომელებისა და ხალხებისადმი იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარის ი. ბროზ ტიტოს გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

მიმართვაში ხაზგასმულია, რომ იუგოსლავიის ყველა მოქალაქე დიდად დამწუხრებულია მძიმე დანაკლისის გამო.

ი. ბროზ ტიტოს გარდაცვალების გამო იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელმა ვეჩემ გამოაცხადა შვიდი დღის ეროვნული გლოვა.

ი. ბროზ ტიტოს ცხედარს ლუბლიანიდან გადმოასვენებენ ბელგრადში და დასვენებული იქნება იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სკუპშჩინის შენობაში 5 მაისიდან 8 მაისამდე. დაკრძალვა მოხდება 8 მაისს.

უხეში ზეწოლა თურქეთზე

ᲐᲜᲙᲐᲠᲐ, 5 მაისი. აქ გამოქვეყნეს ამა წლის მარტში ხელმოწერილი თავდაცვისა და ეკონომიკის დარგში თანამშრომლობის შესახებ თურქეთ-ამერიკის ახალი შეთანხმების ტექსტები და ამ ტექსტების სამი დანართი. როგორც გაზეთი „ჯუმჰურიეთი“ იუწყება, 13 ოქმის ტექსტებს, რომლებიც განსაზღვრავს შეთანხმების რეალიზაციის წესს, კვლავ საიდუმლოდ ინახავენ.

შეთანხმების შესაბამისად, „თურქეთის მთავრობა ნებას რთავს ამერიკის მხარეს — მონაწილეობა მიიღოს თურქეთის შეიარაღებული ძალების გარკვეული ობიექტების ერთობლივი დაცვის ღონისძიებებში“.

შეთანხმების გამოქვეყნებულ დანართებში ნათქვამია, რომ თურქეთს გაუწევენ „საჭირო სამხედრო დახმარებას თურქეთის არმიის მოდერნიზაციისათვის“. ამ მიზნით ანკარაში იქმნება თურქეთ-ამერიკის თავდაცვითი მხარდაჭერის კომისია.

როგორც ცნობილია, ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე განლაგებულია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს დაახლოებით 30 სამხედრო ობიექტი, სადაც 7 ათასზე მეტი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეა. ბოლო დრომდე ეს ობიექტები მოქმედებდნენ დროებითი სტატუსის საფუძველზე. ირანში ამერ

ეძღვნება გამარჯვების დღეს

გუშინ, ბეჭდვითი სიტყვის დღეს, გამომცემლობა „მერანის“ საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ფოტოგამოფენა, რომელიც ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 35-ე წლისთავს ეძღვნება.

გამოფენაზე წარმოდგენილი დოკუმენტური კადრები კვლავ აცოცხლებს იმ გმირულ დღეებს. არის უნიკალური ფოტოებიც. მაგალითად, პოტსდამის კონფერენცია, ნიურნბერგის პროცესი, გამოჩენილ მხედართმთავართა სურათები და ა. შ.

ფოტოსურათები მოგვითხრობენ აგრეთვე საბჭოთა შეიარაღებული ძალების დღევანდელ დღეზე.

(გამოფენაზე წარმოდგენილია ყოფილი ფრონტელი კორესპონდენტების ს. კოროტკოვისა და ვ. ჯეირანოვის ნამუშევრები, მასალები საქინფორმის და ხალხთა მეგობრობის მუზეუმის არქივებიდან.

დამთვალიერებლები დიდხანს ჩერდებიან ფოტოსურათებთან, რომლებზეც ასახულია გამარჯვების ნაბატრი წუთები, საბჭოთა მებრძოლების ბედნიერებით გაცისკროვნებული სახეები.

გამოფენა, რომელიც საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ფოტოსექციამ მოაწყო, თვალნათლივ გვიჩვენებს საბჭოთა ადამიანების გმირულ შემართებასა და სულის სიმტკიცეს.

ნ. მითაიშვილი.

ეს კადრები ნაწილია იმ სახელოვანი მატიანისა, რომელიც ფოტოარქივმა შემოგვინახა. ზემოთ—გენერალი კ. ლესელიძე თანამებრძოლებთან ერთად. ქვემოთ — მედდა მოწინავე ხაზზე.

დრო □ ამბები □ მოვლენები

ქართველი იუმორისტი — ფესტივალის გამარჯვებული

კიევის სასახლე „უკრაინაში“ 4500 მაყურებელი ტაშს უკრავდა სრულიად საკავშირო ფესტივალის „ვიშნევა ულიმშის“ („ვიშნევის ღიმილი“) მონაწილეებს — ქვეყნის ყველა კუთხიდან, მოძმე ბულგარეთიდან ჩასულ სატირიკოსებსა და იუმორისტებს. ხუთი დღის მანძილზე ამ ჯანში მომუშავე ცნობილი მწერლები გამოდიოდნენ მკითხველების წინაშე, აცნობდნენ მათ თავიანთ ახალ ნაწარმოებებს. ამ შემოქმედებით შეჯიბრში ნაწილი ქართველის წარმომადგენელი იყო მწერალ-იუმორისტი ავთანდილ ადეიშვილი. იგი თავის ცამეტ კოლეგასთან ერთად ფესტივალის გამარჯვებული გახდა იუმორისკისათვის „ხუთე უ ლ ი“ და დაჯილდოვდა დათვალიერების სპეციალურ დიპლომით.

ავთანდილ ადეიშვილის იუმორისტული ნაწარმოებები ხშირად იბეჭდება რესპუბლიკური და საკავშირო პრესის ფურცლებზე. ამ დღეებში გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიამ“ გამოუშვა წიგნი „ათას ერთი ღიმილი“. — ქვეყნის ახალგაზრდა იუმორისტთა ნაწარმოებების კრებული, რომელშიც შესულია ქართველი მწერლის მოთხრობაც. ყოველწლიური კრებულის „მხიარულ ტალღაზე“— ყოველ ტომში დაბეჭდილია ავთანდილ ადეიშვილის ნაწარმოებები. მას ხშირად უთმობენ თავიანთ ფურცლებს „ლიტერატურნაია გაზეტა“, ჟურნალი „ოგონიოკი“.

ავთანდილ ადეიშვილის იუმორისტული მოთხრობები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, ყაზახურ, ბულგარულ, რუმინულ, თურქულ ენებზე.

გაისად ბულგარეთის ქალაქ გაბროვოში მოეწყობა ტრადიციული ფესტივალი მსოფლიოს იუმორისტთა მონაწილეობით. ამ ფესტივალზე მიწვეულია ავთანდილ ადეიშვილიც, რომელიც გაიცნობს მსმენელებს თავის ახალ ნაწარმოებებს. (საქინფორმი).

ახალი მომსახურების სახლი

ტყიბულის ცენტრში ამოქმედდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი. მის ოთხ სართულზე განლაგებულია ქალისა და მამაკაცის სალონები, ფეხსაცმლის ატელიე, ფოტოატელიე და სხვა ობიექტები.

ბოლო წლებში შესამჩნევად გაფართოვდა ქალაქ ტყიბულის ზონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელი. მომსახურების სფეროს ახალი ობიექტები შეიქმნა ლენინის სახელობის და ორჯონიკიძის სახელობის შახტებში, მათ აგებენ სოფლებში ძმეთისა და საწარიში. ახლა ზონის ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას ემსახურება დაახლოებით 60 ობიექტი, პრაქტიკაში დანერგილია გასვლითი მომსახურება, მოქმედებენ კომპლექსური მიმდები პუნქტების სადისპეტჩერო სამსახურები.

ამა წლის სამი თვის მანძილზე ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მომსახურების დონე გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით რვა პროცენტით გაიზარდა. (საქინფორმი).

ადიდებენ სამშობლოს

ბათუმი. ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვისთავის უხუცესი მოქმელი 90 წლის ასლან ზოიძე გამოვიდა ბათუმის საქალაქო კულტურის სახლში ხალხური პოეზიისა და მუსიკის საღამოზე. იგი ეფერდა მშობლიური მხარის, თავისი თანატოლი თანასოფლელების უსიხარულო წარსულზე, დღევანდელი აჭყვისთაველი კოლმეურნეების ბედნიერ ცხოვრებაზე.

გულთბილად შეხვდა მაყურებელი ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სარფის ხალხურ მოქმელებს მამია თანდილავას, აკაკი ხორავას და მამია ჯეველაშს.

ხალხური შემოქმედების მრავალ შესანიშნავ ნაწარმოებში აპარის ხალხურმა მთქმელებმა ასახეს ბანსა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე დამახასიათებელი მოვლენები. მათი შემოქმედების ძირითადი თემაა პატრიოტიზმი, ლენინი, ოქტომბრის რევოლუცია, სოციალისტური სამშობლო.

ჟურნალების სახლის ფოიეში მოწყობილია თვითმოქმედი მხატვრების ნაწარმოებების, გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა ნაკეთობების გამოფენა.

ბაკურიანი

სატურნირო ორბიტა

ბელგრადი. ბელგრადში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი. ბოლო ორ წონაზე ატეიგორიაში თავი ისახელეს საბჭოთა ათლეტებმა მინსკელმა ლეონიდ ტარანენკომ (110 კგ-მდე წონა) ორჭიდში 420 კგ დააგროვა და ოქროს მედალს დაეუფლა. ამასთან მან ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — ატაცაში და ორჭიდში. უმძიმეს წონაში ყველას აჯობა დაეპრომეტროვსკელმა სულთან რახმანოვმა — 430 კგ. საბჭოთა ძალოსნებმა გუნდურ ჩათვლაში 275 ქულა დააგროვეს და პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე ადგილზე გამოვიდა ბულგარეთის ნაკრები — 251, ხოლო მესამეზე — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი — 187 ქულა.

სპორტული ტანვარჯიში. საფრანგეთის ქალაქ ლიონში მიმდინარე იუნიორთა ევროპის ჩემპიონატში ჭაბუკთა შორის პირველი-მეორე ადგილები განიწილეს საბჭოთა სპორტსმენებმა ანატოლი საიფულინმა და იური კოროლიოვმა. მანამდე ქალაქვილთა ასპარეზობაში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა გალინა იონასმა.

მძლეოსნობა. იუგოსლავიის ქალაქ სელიეში ასპარეზობისას ილონა სლუპრანეკმა (გდრ) მსოფლიო რეკორდი დაამყარა ბირთვის ტვრაში. ახალი სარეკორდო მაჩვენებელია 22,36 მეტრი და ხელენა ფიბინგეროვამ (ჩეხოსლოვაკია) ძველ მსოფლიო რეკორდს 4 სანტიმეტრით აღემატება.

კალათბურთი. სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრები საერთაშორისო ამხანაგური მატჩების გასამართავად იმყოფება ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჩვენმა კალათბურთელებმა უკვე ოთხი მატჩი გამართეს. მათგან პირველი წაიგეს — იუნიორების შტატის კოლეჯების ნაკრებთან (95:96), მომდევნო სამი შეხვედრა კი მოიგეს — მეწინავ შტატის ქალაქ პორტლენდის (101:78), პენსილვანის შტატის ქალაქ ერის (83:61) და იანდიანის შტატის ქალაქ მერიონის (96:95) ნაკრებ გუნდებთან.

გმირის ხსოვნას ეძღვნება

4 აპრილს სოხუმში დაიწყო საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-პოლკოვნიკ კ. ლესელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მოკრივეთა მეოთხე ტრადიციული საკავშირო ტურნირი.

შეჯიბრებაში მონაწილეობენ ქვეყნის 15 ქალაქის — მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის, თბილისის, ბაქოს, ქუთაისის, სოხუმის, რუსთავისა და სხვა ქალაქების მოკრივეენი.

გამარჯვებულნი 9 მაისს გამოვლინდებიან. (საქინფორმი).

ჭადრაკის დაფებთან

მეხიკოში მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხეედფინალური მატჩის მონაწილეებმა ბორის სპასკიმ (სსრ კავშირი) და ლაიოშ პორტიშმა (უნგრეთი) უკანასკნელი, მეთოთხმეტე პარტია 41-ე - სვლაზე გადადეს. პარტიის დამთავრებისას აღინიშნა ყაიმი. მატჩის საბოლოო ანგარიშია 7:7. იმის გამო, რომ პორტიშს შავებით ჰქონდა პარტია მოგებული, საბოლოო გამარჯვება მას მიეკუთვნა.

იუგოსლავია. ქალაქ ბუგოინოში დაიწყო მოჭადრაკე ვაჟთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მსოფლიო ჩემპიონი ანატოლი კარპოვიც მონაწილეობს. პირველ ტურში იგი ბენტ ლარსენს (დანია) შეხვდა და პარტია ყაიმით დამთავრა. ასევე ყაიმით დასრულეს თავიანთი შეხვედრები საბჭოთა მოჭადრაკეებმა მიხეილ ტალმა და ლევ პოლუგაევსკიმ. პირველი დაუზავდა ინტერნაციონალ (პოლანდია), მეორე — სვეტოზარ გლიგორიჩს (იუგოსლავია).

მეორე ლიგაში

გაიმართა მეორე ლიგის მეცხრე ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო შეჯიბრების მესამე ტურის მატჩები. ამ ზონაში მოსაპარეზე საქართველოს გუნდებმა შეხვედრები ასეთი შედეგებით დაამთავრეს: ფოთის „კოლხეთი“-გორის „დილა“ — 1:0, ბათუმის „დინამო“-სამტრედიის „ლოკომოტივი“ — 0:1, სოხუმის „დინამო“-კიროვაბადის „პროგრესი“ — 2:0, ზუგდიდის „დინამო“-რუსთავის „მეტალურგი“ — 1:0.

ქულათა მაქსიმუმით (6) გათამაშებას ლიდერობს სამტრედიის „ლოკომოტივი“. 4-4 ქულა აქვთ ფოთის „კოლხეთს“, ლენინგრადის „შირაკს“ და ერევნის „არაბკირს“. 3-3 ქულით მეხუთე-მეთერთმეტე ადგილებს ინაწილებენ გორის „დილა“, ზუგდიდის „დინამო“, რუსთავის „მეტალურგი“, ნახიჩევანის „არაზი“, აბორიგენის „კოტაიკი“, სტეფანაკერტის „ყარაბახი“ და ბაქოს „ავტომობილისტი“.

სატურნირო ორბიტა

ბელგრადი. ბელგრადში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი. ბოლო ორ წონაზე ატეიგორიაში თავი ისახელეს საბჭოთა ათლეტებმა მინსკელმა ლეონიდ ტარანენკომ (110 კგ-მდე წონა) ორჭიდში 420 კგ დააგროვა და ოქროს მედალს დაეუფლა. ამასთან მან ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — ატაცაში და ორჭიდში. უმძიმეს წონაში ყველას აჯობა დაეპრომეტროვსკელმა სულთან რახმანოვმა — 430 კგ. საბჭოთა ძალოსნებმა გუნდურ ჩათვლაში 275 ქულა დააგროვეს და პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე ადგილზე გამოვიდა ბულგარეთის ნაკრები — 251, ხოლო მესამეზე — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი — 187 ქულა.

სპორტული ტანვარჯიში. საფრანგეთის ქალაქ ლიონში მიმდინარე იუნიორთა ევროპის ჩემპიონატში ჭაბუკთა შორის პირველი-მეორე ადგილები განიწილეს საბჭოთა სპორტსმენებმა ანატოლი საიფულინმა და იური კოროლიოვმა. მანამდე ქალწვილთა ასპარეზობაში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა გალინა იონასმა.

მძლეოსნობა. იუგოსლავიის ქალაქ სელიეში ასპარეზობისას ილონა სლუპრანეკმა (გდრ) მსოფლიო რეკორდი დაამყარა ბირთვის ტვრაში. ახალი სარეკორდო მაჩვენებელია 22,36 მეტრი და ხელენა ფიბინგეროვას (ჩეხოსლოვაკია) ძველ მსოფლიო რეკორდს 4 სანტიმეტრით აღემატება.

კალათბურთი. სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრები საერთაშორისო ამხანაგური მატჩების გასამართავად იმყოფება ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჩვენმა კალათბურთელებმა უკვე ოთხი მატჩი გამართეს. მათგან პირველი წაიგეს — იუნიორების შტატის კოლეჯების ნაკრებთან (95:96), მომდევნო სამი შეხვედრა კი მოიგეს — მეწინავ შტატის ქალაქ პორტლენდის (101:78), პენსილვანის შტატის ქალაქ ერის (83:61) და იანდიანის შტატის ქალაქ მერიონის (96:95) ნაკრებ გუნდებთან.

ჯანმრთელობის საგუშაგოზე

ნემსსაფრქვევა ჩამგზავრებს დღეის ფინანსდება

ყველამ იცის, თუ რა საფალალო შედეგები მოსდევს თამბაქოს წევას, მაგრამ ყველას როდი აქვს ნებისყოფა, რომ თავი დაანებოს სიგარეტს. იმათ, ვინც მტკიცედ გადწყვიტა დაავიწყოს ეს მავნე ჩვევა, ეხმარება მედიცინა, ლატვიელ მედიკოსებს, კერძოდ, აუპუნქტურის (ნემსჩხვლეტის) მეთოდის დიდი იმედი აქვთ.

— ჩვენ ახალი მეთოდიკის გამოყენების მნიშვნელოვანი გამოცდილება შევიძინეთ, — თქვა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარმა ფიზიოთერაპევტმა ფ. პორტნოვმა, — ჩვეულებრივ, პირველივე სეანსის შემდეგ საგრძნობლად კლებულობს მოწევის სურვილი.

ახალი მეთოდი მწევეს სიგარეტს კი არ აზიზღებს, არამედ თანდათან ავიწყებს გამომოშავებულ რეფლექსს. ნემსის ჩხვლეტის დროს წარმოშობილი მიკრო-დენები აქტიური წერტილების მეშვეობით ზემოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე და თითქოს არღვევს „პროგრამას“, რომელიც ადამიანს სიგარეტის მოწევას ანდომებს. ლატვიელ მეცნიერთა სტატისტიკა, მართლაც რომ, შთამბეჭდავია: ათი მწეველიდან შვიდს მკურნალობის კურსის გავლის შემდეგ თამბაქოს წინააღმდეგ მტკიცე რეფლექსი გამოუმუშავდა.

ს. შაუნგბინი.
(საკდესის კორ).
რიგა.

ტელევიზია

ნ ო მ ა ი ს ი

თბილისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვერემია“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — კინოეპოპეა „დიდი სამამულო“. ფილმი მეთხუთმეტე „კარპატებიდან ბალკანეთისა და ვენისაკენ“ (ფ.), 17.00 — აბიბურიენტებისთვის — ქართული ენა (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — შევისწავლოთ ინგლისური ენა (ფ.), 18.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.20 — მოსწავლეთათვის — „მე კოსკავშირელი ვარ“ (ფ.), 18.45 — გადაცემა „ძალა რწმენისა“, 19.20 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „მემკვიდრეები“, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოიმბე“ (ფ.), 20.30 — „ბუნების კარი“ (ფ.), 21.10 — კინოეპოპეა „დიდი სამამულო“. ფილმი მეთექვსმეტე „პოლონეთის განთავისუფლება“ (ფ.), 22.00 — „ვერემია“ (მ.), 22.35 — „სპორტული კალეიდოსკოპი“ (ფ.), 23.35 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.20 — რუსული სკოლების მოსწავლეთათვის — ფიზიკა (ფ.), 16.50 — განცხადებები (ფ.), 16.55 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.35 — მხატვრული ფილმი „ჟურნალისტი“ II სერია, 19.05 — სტუდენტებისთვის — თეორიული მექანიკა (ფ.).

მოსკოვი

პირველი პროგრამით (თბილისის დროით): 09.00 — „ერემია“, 09.40 — დილის ვარჯიში, 10.05 — მხატვრული გელეფილმი „ელექტრონიკის თავგადასავალი“. მეორე სერია, 11.10 — საბჭოთა სიმღერის კონცერტი, 11.40 — დოკუმენტური გელეფილმი „უძლეველი და ლეგენდარული“. ფილმი მეორე, დამთავრებული შემდეგ და 15.30 — ახალი ამბები, 15.50 — სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მე-10 წლისთავის გამო. კინოპროგრამა, 16.30 — „ვარსკვლავთმრცხვენელი“. გელეფურნალი, 17.15 — ხალხური მელოდიები, 17.30 — „ლენინი — ჟურნალისტი და რედაქტორი“. გადაცემაში მონაწილეობენ გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი ვ. გ. აფანასიევი, ჟურნალ „კომუნისტის“ მთავარი რედაქტორი რ. ი. კოსოლაპოვი, გაზეთ „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორი ა. ნ. სუბოტინი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი ი. ნ. ზასურსკი, 18.30 — ბ. ი. ჩაიკოვსკის დაბადების 140 წლისთავის გამო. მუსიკალური გელეფილმი, 19.30 — „ყოველ ნაბიჯში მზეა“, 19.45 — დღეს მსოფლიოში, 20.00 — ახალგაზრდათა მისამართით, 21.00 — მუსიკალური გელეფილმი „ბალინის მოგვიანებით“, 21.10 — დოკუმენტური გელეფილმი „უძლეველი და ლეგენდარული“. ფილმი მესამე, 22.00 — ვრემია, 22.35 — თეატრალური შეხვედრები. დამთავრების შემდეგ — დღეს მსოფლიოში.

მეოთხე პროგრამით: 20.00 — ჰოკეი. ცსკა — „ხიმიკი“, 21.15 — „ცილი ნეტისა, ჰაკარეტი!“, 22.00 — მუსიკალური კინოსკოპი, 22.40 — მხატვრული ფილმი „უკანასკნელი ფორტი“.

თეატრი

ნ ო მ ა ი ს ი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **გოსკა**; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **რიჩარდ მესამე**; შოტების თეატრი (ბარიკანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში) — **მწუხარე სახის რაინდი.**

საზოგადოების მხარდაჭერით

საპატრულო-საგუშაგო სამსახური — მაღალ დონეზე!

დღეს თბილისში გაიმართება მილიციის საკატრულო-საგუშაგო სამსახურის ფრიადოსანთა რესპუბლიკური შეკრება

საყოველთაოდ ცნობილია, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უფრო შემტევი და მიზანსწრაფული გახდეს ადმინისტრაციული ორგანოების, კერძოდ, მილიციის მოქმედება, ამაღლდეს მათი ბრძოლისუნარიანობა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმას, რომ გაძლიერდეს ბრძოლა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების — მექრთამეობის, მომხვეჭელობის, ხულიგნობის, დებოშირობის, ქურდობის წინააღმდეგ.

არ არსებობს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე წამოჭრილი არც ერთი სერიოზული პრობლემა, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსჯელობის, ზრუნვისა და დახმარების საგანი არ გამხდარიყოს. უდავოა ისიც, რომ მილიციის მუშაკები თავის მხრივ ამ ზრუნვას თავდადებული შრომითა და ვაჟკაცური შემართებით უპასუხებენ.

იმ დიდ და მნიშვნელოვან წარმატებებში, რომლებსაც რესპუბლიკის შრომელებმა საბალხო მეურნეობაში, კულტურულ მშენებლობაში, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მართლწესრიგის განმტკიცებისა და მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების საქმეში მიაღწიეს, მამაც მილიციელთა მოკრძალებული წვლილიც ურევია. მაგრამ, როცა წვლილზე ვლაპარაკობთ, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ შინაგან საქმეთა ორგანოები ჯერ კიდევ ვალში არიან ჩვენი შრომელი ხალხის წინაშე.

სწორედ ასეთ დროს მივიღეთ ჩვენ ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ მიმართული ფასდაუდებელი დოკუმენტი და სამოქმედო პროგრამა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის აგვისტოს დადგენილება „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის მოთხოვნათა შესრულებას უდიდეს ყურადღებას უთმობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომლის ინიციატივით მიმდინარე წლის იანვარში გაიმართა რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება, რომელმაც შეიმუშავა და ახლა განუხრელად ხორციელდება ორგანიზაციულ და პრაქტიკულ ღონისძიებათა კომპლექსი.

ამ ღონისძიებათა შორის წინა პლანზეა წამოწეული საკითხი, რომელიც ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას ეხება. ამაში აქტიურად მონაწილეობენ როგორც ადმინისტრაციული, ისე პარტიული, საბჭოთა ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ყველგან და ყველაფერში წესრიგის დამყარება, დანაშაულობის აღკვეთა-აცილება და, თუ ასეთი რამ მოხდა, „ცხელ კვალზე“ მისი გახსნა ბევრად არის დამოკიდებული მილიციის საპატრულო-საგუშაგო სამსახურის შემდგომ სრულყოფასა და მისი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაზე, მოსახლეობასთან კავშირის განმტკიცებასა და სახალხო რაზმელებთან ერთად ყოველმხრივ მოფიქრებულ მოქმედებაზე.

ახლა საპატრულო-საგუშაგო სამსახურის გაუმჯობესება დღის წესრიგში. ნომერ პირველ საკითხად დგას და ეს შემთხვევითი არ არის. მას. მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა აკისრია — ებრძოლოს სამართალდარღვევებს, დაიცვას წესრიგი ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

საპატრულო-საგუშაგო სამსახური ყველა ადამიანისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ერთგული მეგობარია. ეს ის ორგანოა, სადაც ადამიანს ეხმარებიან, ეს ის ორგანოა, სადაც ადამიანი ეძებს დაცვას, ეს ის ორგანოა, სადაც ადამიანი ეძებს ერთგულ მეგობარ-ურჩევნელ-ამხანაგ-ბიძაშვილ-ბიძაკაცს